# ნაკადული

ეროვნული ბიბლიოთეკა

140
2001



პატარა მარიამი
ყველას, ყველას
ულოცავს ახალ
წელს!













# შობა-ახალ წელს გილოცავთ!

ეროვნული ბიბლიოთეკა



# მრავალს დაესწარით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნაკადული

2001 წ. №8-9

გამოდის 1926 წლიდან

## ნომრის შინაარსი

„ნაკადულის“ საინფორმაციო სააგენტო „ფაქტი“ .......... 2
ბრავო, ბრავისიმო, მარიკა!“ .......... 3
სკოლა და ახალი ამოცანები – (ჟურნალის სტუმარია თბილისის 161-ე სკოლა) .......... 4
დასერილ გულში შემოჭრილი ნათელი სხივი .......... 5
„ოდოშხერი“. 161-ე სკოლის მოსწავლეთა შემოქმედება .......... 6
ახალი ლექსები. ოლეგ გველესიანი .......... 7
ქველმოქმედება გულების გათბობასაც გულისხმობს .......... 8
საახალწლო მოზაიკა .......... 10
მე რომ საქართველოს პრეზიდენტი ვიყო... .......... 11
მსოფლიო კიდით კიდემდე .......... 12
ჩემი სახელი ახსენე და... (მ. გელაშვილის მოთხრობა) .......... 13
„ოდოშხერი“. გორისა და გორის რაიონის მოსწავლეთა შემოქმედება .......... 18
სიტყვის კონა .......... 20
ცვივა ციდან ფანტელი .......... 22
დღევანდელობა ბავშვების თვალით .......... 23
„ოდოშხერი“. თბილისელ მოსწავლეთა შემოქმედება .......... 24
კითხვა – თქვენი, პასუხი – ჩვენი .......... 25
იუმორის საქმე როგორა გაქვთ? (ტესტი) .......... 26
თამაში ოვალური ბურთით .......... 27
სიცილის გაკვეთილი .......... 30

21974

**რედაქტორი მანანა გელაშვილი**

მისამართი: 380008, თბილისი კოსტავას ქ. 14
ტელეფონები: 93-31-81 93-18-84.

ინდექსი: 76157.
ფასი სახელშეკრულებო
რეგისტრირებულია მთაწმინდის რაიონის სასამართლოში

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ფაქტი

## „ნაკადულის" საინფორმაციო სააგენტო



### ჯილდოდ ბრილიანტის გულსაბნევი

ბრაზილიის ქალაქ სან-პაულოში გამართული სილამაზის საერთაშორისო კონკურსის მონაწილე 4-დან 20 წლამდე ასაკის ლამაზმანთა შორის 11 წლის ნინო შადურიც იყო. ნინომ მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა და ჯილდოდ ბრილიანტით მოოჭვილი გულსაბნევი მიიღო.

### ალისას სწავლის ფულს სკოლა გადაიხდის

უელსის პრინცის პატრონაჟით გამართულ პიანისტთა მსოფლიო კონკურსზე დიდი წარმატებას მიაღწია 16 წლის თბილისელმა მოსწავლემ ალისა თავდედიშვილმა. კონკურსის 600 მონაწილიდან საფინალო მოსმენაზე მხოლოდ 24 შემსრულებელი დაუშვეს და მათ შორის ალისაც იყო. ქართველი გოგონას ოსტატობით მოხიბლულმა ლონდონის ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული ხელოვნების სასწავლებლის The percell school-ის ხელმძღვანელობამ სასწავლებლად მიიწვია იგი. ალისა თავდედიშვილის სწავლის ხარჯებს – წელიწადში 190 ათას გირვანქა სტერლინგს თავად ეს სკოლა იღებს თავის თავზე.

### სტუმრად საავტორო სკოლაში

თბილისის მარი-ფელისტე ბროსეს სახელობის ქართულ-ფრანგულ საავტორო სკოლა-ლიცეუმს სტუმრად ეწვივნენ საქართველოში ვიზიტით მყოფი საფრანგეთის სენატის პრეზიდენტი კრისტიან პონსლე და სენატორები ალენ ბურნაე, დიუპონი, პუდენი, პირასი და დ,ენკური. სტუმრებმა ისაუბრეს საფრანგეთის სენატის და ეროვნული ასამბლეის სტრუქტურის, პრესისა და სახელმწიფო ორგანოების ურთიერთობაზე.

### სამბისტებმა იყოჩაღეს

საქართველოს ჩემპიონები სამბოში 1986-88 წლებში დაბადებულთა შორის კატეგორიების მიხედვით გახდნენ: გიორგი დიდებაშვილი (გორი), ბექა თოთლაძე (ქუთაისი), თემურ ბაბილუა (ფოთი), გიორგი ოდიაშვილი (თბილისი), ლევან სანიკიძე (ქუთაისი), დათო ხურციძე (ქუთაისი), ლაშა გაბოძე (თბილისი), ტარიელ მინესაშვილი (მარტყოფი), ბაჩუკი დევდარიანი (ზუგდიდი), ლევან მღებრიშვილი (გორი), ზურაბ ობოლაშვილი (მარტყოფი).

### რვა მედალი თურქეთიდან

წარმატებით იასპარეზეს თურქეთის ქალაქ ანტალიაში გამართულ 1987-89 წლებში დაბადებულ ძიუდოისტთა საერთაშორისო ტურნირზე ქართველმა სპორტსმენებმა, რომლებმაც ხუთი ოქროს და სამი ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. გუნდურ ჩათვლაში ქართველმა ბიჭებმა მეორე ადგილი დაიკავეს და მხოლოდ თურქ ფალავნებს ჩამორჩნენ.



# ბრავო, ბრავისიმო, მარიკა!





ათი წლის იყო მარიკა, დედას რომ შეჰპირდა, აღარასდროს გაგაბრაზებო. თუმცა მაინცდამაინც არც მანამდე აბრაზებდა, მაგრამ მას მერე ოდნავი წყენაც კი არ მიუყენებია, სიხარული და მხოლოდ სიხარული მოაქვს დედისთვისაც და მზრუნველი მამიდისთვისაც.

სულ ერთი ციცქნა იყო, როცა ოჯახის მეგობარმა ლიზიკო ჭოხონელიძემ მის განსაკუთრებულ მუსიკალურ მონაცემებს ყურადღება მიაქცია, სამი წლისამ კი ფილარმონიის დიდ სცენაზე მერი დავითაშვილის საბავშვო სიმღერა იმღერა, მერე „ბასტი-ბუბუ" იყო, მერე...

მერე იყო გამარჯვებები და მხოლოდ გამარჯვებები — ბორჯომის ფესტივალზე „ბროლის ნაძვი", თბილისის ფესტივალზე „მიმღერე რამე" („გრან-პრი"), მოსკოვის ფესტივალზე **„Зажги свою звезду"** (I ადგილი და „გრან-პრი") ვიტებსკის ტრადიციულ ფესტივალზე **„Славянский базар"** (ჟიურის წევრი, მონაწილეობა გალა-კონცერტში და ბულგარეთის დელეგაციის მიერ ნაბოძები სპეციალური პრიზი „ოქროს კამერტონი"), კონკურსში ოდესაში („გრან-პრი"), სატელევიზიო ფესტივალში **„Утренняя звезда"** („გრან-პრი"), ბულგარეთის ფესტივალში „მილიონი საოცრება" („გრან-პრი"), იტალიის სატელევიზიო შოუ-ფესტივალზე „ბრავო, ბრავისიმო" (ჯილდოები საუკეთესო ვოკალისა და პროფესიონალიზმისთვის) და ბოლოს გამარჯვებათა სერიის დამაგვირგვინებელი აღიარება ამერიკის შეერთებულ შტატებში, ლოს-ანჯელესში გამართულ ტრადიციულ „მსოფლიო ხელოვნების ფესტივალზე", რომელშიც 5 ათასამდე შემსრულებელი მონაწილეობდა, და რომლის ჟიურიში ამერიკული შოუ-ბიზნესის წამყვანი პროდიუსერები შედიოდნენ. თუ იმასაც დავძენთ, რომ ჟიურის საქვეყნოდ ცნობილი რეჟისორი სტივენ სპილბერგი ხელმძღვანელობდა, უფრო გასაგები გახდება, რაოდენ დიდი ფასი აქვს 13 წლის მარიკა თხელიძის ამ გამარჯვებას.

პატარა ქართველი მომღერლის უზადო შესრულებით, დახვეწილი გემოვნებით, მომხიბვლელი გარეგნობით აღფრთოვანებულმა ჟიურის წევრებმა ერთხმად მიანიჭეს მას „გრან-პრიც", მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონის ტიტულიც და ორი ოქროს და ერთი ვერცხლის მედალიც, მსმენელები კი ფეხზე ადგომითა და ხანგრძლივი ტაშით გამოხატავდნენ თავიანთ აღტაცებას. გამარჯვებაც ამას ჰქვია! სხვათა შორის, ამერიკაში მარიკას სიმღერის უმუსიკოდ შესრულებაც სთხოვეს და როცა მან ამჯერადაც დიდებულად იმღერა, იგი უყოყმანოდ აღიარეს პროფესიონალად. მარიკას ამერიკული ტრიუმფის უშუალო მოწმეები იყვნენ მისი მამიდა ნანა თხელიძე და ხელმძღვანელი ნუცა ჯანელიძე.

როგორც მარიკას დედა ქალბატონი თეონა ლორთქიფანიძე ამბობს, მარიკა ძალიან ძლიერი, სერიოზული ადამიანია და დიდი პასუხისმგებლობით ეკიდება ნებისმიერ საქმეს, ყოფილა შემთხვევა, როცა ავადმყოფსაც კი უმღერია. ყველა ეს თვისება კი იშვიათი ნიჭისა და მუსიკალური მონაცემების მქონე ნორჩი მომღერლის პროფესიონალიზმზე მეტყველებს. მარიკა ჩამოყალიბებული მსახიობია და ალბათ კიდევ ამიტომაც თანამშრომლობენ მასთან სიამოვნებით „ფლეში", ნეკა სებისკვერაძე, თემურ თათარაშვილი, და სხვები. მარიკაც სიხარულით მღერის მათთან ერთად.

სკოლაში კარგად სწავლობს (მარიკა თბილისის 102-ე სკოლის მერვეკლასელია), თუმცა ჰუმანიტარული საგნები უფრო უყვარს, მოსწონს ქარგვა, აინტერესებს ყველაფერი, რაც ხელოვნებასთან არის დაკავშირებული. უყვარს ლამაზად და გემოვნებით ჩაცმა, ფერებიდან იასამნისფერსა და ლურჯს ამჯობინებს. ჰყავს ძალზე ბევრი თოჯინა, რომელთაგან ერთს თილისმად ყველგან თან დაატარებს. გარდა ამისა, მარიკას მუდამ თან აქვს ღვთისმშობლის და იესო ქრისტეს ხატები. ეჭვი არ არის, ეს საყვარელი თოჯინა თავის პატრონთან ერთად კიდევ არა ერთ ქვეყანას ეწვევა და მისი ახალ-ახალი წარმატებების მომსწრე და თანამოზიარე იქნება.

# სკოლა და ახალი ამოცანები



## ჟურნალის სტუმარია თბილისის 161-ე სკოლა

26 წელია 161-ე სკოლაში ვმუშაობ და შეიძლება ითქვას, რომ მე მისი ერთგვარი მემატიანე გახლავართ. ნათლად მახსოვს სკოლის ცხოვრების ყველა მნიშვნელოვანი მოვლენა, დაწყებული 1975 წლის 20 აგვისტოდან, როდესაც იგი აშენდა. იმ საზეიმო დღეს სკოლა გამოცდილმა პრაქტიკოსმა და ვაჟკაცური შემართების ადამიანმა, აწ განსვენებულმა ბატონმა გრიგოლ ონიანმა ჩაიბარა, რომლის ხელშიც სკოლა ერთ-ერთი მოწინავე გახდა ქალაქში.

1984 წელს სკოლის დირექტორად ქ-ნი ლონდა მებურიშვილი დაინიშნა. ქალბატონი ლონდა ენერგიული, პრინციპული ხელმძღვანელი იყო და ჩვენი პედაგოგიური კოლექტივიც მხარს უბამდა მას (მე მაშინ დირექტორის მოადგილედ ვმუშაობდი სასწავლო-აღმზრდელობით დარგში).

სკოლის ამჟამინდელმა დირექტორმა ბატონმა ჯუმბერ ცერცვაძემ ძნელ დროს ჩაიბარა მისი ხელმძღვანელობა — ძმათა ომი, განუკითხაობა, არეულობა... დაგვეთანხმებით, ასეთ პირობებში სასწავლო დაწესებულების დირექტორობა გმირობის ტოლფასი იყო. ბატონმა ჯუმბერმა თავიდანვე შეუცდომლად აუღო ალღო საქმეს, ადვილად გამონახა საერთო ენა გამოცდილ პედაგოგიურ კოლექტივთან, მოსწავლეებთან, მომავლის რწმენის მუხტით გაგვაერთიანა ყველანი — მასწავლებლებიც, მოსწავლეებიც, მშობლებიც. ურთიერთგაგებამ, დაუღალავმა შრომამ და ერთსულოვნებამ, პასუხისმგებლობის გრძნობამ ყველა სიძნელე გადაგვალახინა. სწორედ იმ მძიმე წლებში მოხერხდა სკოლისთვის ფლიგელის მიშენება, რომელშიც 24 საკლასო ოთახი განლაგდა, ამან კი ერთცვლიან სწავლებაზე გადასვლის შესაძლებლობა მოგვცა, რაც, თავის მხრივ, დადებითად აისახა მთელ სასწავლო-აღმზრდელობით პროცესზე.

დღეს სკოლაში 17 უმაღლესი, პირველი კატეგორიის მასწავლებელია, 38 გვყავს 2 ასპირანტი, 10 მასწავლებელი წლების მანძილზე სოროსის ფონდის გრანტის მფლობელი იყო.

სკოლის 48 კლასში 1900 მოსწავლეა. ბევრი გვყავს გამორჩეულად ნიჭიერი ბავშვი. სკოლა ამაყობს სხვადასხვა სახის კონკურსების ლაურეატებით, მხატვრული კითხვის ოსტატებით, სიგელებითა და დიპლომებით დაჯილდოებულებით, სხვადასხვა საგანში სოროსის ფონდის პრიზიორებით და სხვ.

მაინც რით იზიდავს 161-ე საშუალო სკოლა ქალაქის სხვადასხვა კუთხეში მცხოვრებ მოსწავლეებს და მათ მშობლებს? რით იმსახურებს იგი საყოველთაო პატივისცემას და ყურადღებას?

უწინარეს ყოვლისა, სწავლების მაღალი ხარისხით, მკაცრი დისციპლინით, მოსწავლეთა და მასწავლებელთა ურთიერთთანამშრომლობით, მშობელთა მხარდაჭერით, სკოლის დირექციისა და პედკოლექტივის დაუღალავი შრომით, ახლის მუდმივი ძიებით.

ღვაწლმოსილი, გამოცდილი მასწავლებლების გვერდით მუშაობენ ახალგაზრდა მასწავლებლები, რომლებიც სკოლაში მოსვლის პირველივე დღიდან გრძნობენ ხელმძღვანელობისა და კოლეგების თანადგომას, ზრუნვას. ს. შუბითიძის, ნ. კახიანის, ს. გაგუას, ქ. გოგობერიშვილის სახით სკოლაში მასწავლებელთა ღირსეული ცვლა მოვიდა, ეს ახალგაზრდა პედაგოგები დღეს საყოველთაო სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობენ. შესანიშნავი პიროვნება თ. ხეცურიანი, მათ თავის გამოცდილებას გადასცემს, ასწავლის მოსწავლეების გულებთან მისასვლელ გზებს.


თბილისის 161-ე სკოლის დირექტორი ჯუმბერ ცერცვაძე

დღეს ჩვენს სკოლას ბევრი რამ აქვს საამაყო. თუნდაც ყოველმხრივ მოწესრიგებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ინგლისური და გერმანული ენების სწავლების მაღალი დონე, პროფილური სწავლება, ჰუმანიტარული, ქიმია-ბიოლოგიური, ფიზიკა-მათემატიკური. გვაქვს სათანადოდ აღჭურვილი ქიმიის, ფიზიკის, ქართულის, ისტორიის, დაწყებითი სამხედრო სწავლების, შრომის კაბინეტები, საკმაოდ მდიდარი ბიბლიოთეკა სამკითხველო დარბაზით, სპორტული მოედნები, სააქტო დარბაზი.

ჩვენი განსაკუთრებული სიამაყეა სკოლის ერთი ულამაზესი კუთხე — ხის მხატვრული დამუშავების მუზეუმი საგამოფენო დარბაზით, საყოფაცხოვრებო კაბინეტი და კერამიკის სამქრო-კაბინეტი, სადაც წარმოდგენილია მოსწავლეთა მიერ შრომის გაკვეთილზე, სახელოსნოებში შექმნილი ექსპონატები. რამდენიმე წელია რაც ვაჟებს ხეზე კვეთილობას ასწავლის ღირსების ორდენოსანი პედაგოგი ბატონი ალექსანდრე კალანდაძე, ხოლო გოგონებს კულინარიას, ჭრა-კერვას, ქარგვას ასწავლის, უმაღლესი კატეგორიის მასწავლებელი ქ-ნი ლეილა ბოჭორიშვილი, VII-IX კლასების გოგონები მანქანაზე ბეჭდვასაც სწავლობენ (პედაგოგი ლამარა მანჯგალაძე). გასულ სასწავლო წელს მოვიდა ჩვენთან დირექტორის მოადგილე აღმზრდელობით დარგში ქ-ნი ლელა ნერგაძე, ენერგიული, მაძიებელი პედაგოგი. სწორედ მისი დამსახურებაა ის, რომ სკოლაში გვაქვს საბავშვო რადიო, რომლის მეშვეობით გაკვეთილებს შორის შესვენებებზე მოსწავლეებს სკოლის ყველა კუნჭულში მიეწოდებათ მათთვის საინტერესო და სახალისო ინფორმაციები ხელოვნების, სპორტის, განათლების, ეკოლოგიის, ადამიანის და ბავშვთა უფლებების, მოდის, იუმორის სფეროდან. დირექტორის კიდევ ერთი მოადგილე, გამოცდილი პედაგოგი და ბიოლოგია-ქიმიის საუკეთესო სპეციალისტი ქ-ნი ნათელა წულაია სასწავლო დარგს უძღვება.

ჩვენი სკოლის მუშაობის მთავარი მამოძრავებელი ძალა საგნობრივი კათედრებია, რომლებსაც დირექტორის მოადგილე, ენერგიული, საქმის შესანიშნავი მცოდნე ქ-ნი ჯული ჩხეიძე უწევს ხელმძღვანელობას.

დ/კ მეთოდკაბინეტის და მისი ხელმძღვანელის დირექტორის მოადგილის დაწყებით კლასებში როზა კაკულიას მუშაობა მყარ შემოქმედებით საძირკველს უქმნის მეთოდური კათედრების მუშაობას, რომლებსაც ხელმძღვანელობენ მეთოდისტ-მასწავლებლები: ლიანა ბასილაია, მერი ჩუგუაშვილი, თამარ სულაძე, ალექსი ტაბატაძე, თამილა ხანიაშვილი, ნაზი დარჩიაშვილი, ნუნუ ბრეგვაძე, ლეილა ბოჭორიშვილი.

ბედნიერად ვთვლი თავს, რომ 42 წლის მანძილზე ვემსახურები მოსწავლე ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდის დიდად საპასუხისმგებლო საქმეს და დღეს ასეთ მეგობრულ, ერთი სულისკვეთებით გაერთიანებულ პედაგოგიურ კოლექტივში ვმუშაობ, რომელსაც პრინციპული, მომთხოვნი და სამართლიანი დირექტორი ბატონი ჯუმბერ ცერცვაძე ხელმძღვანელობს და რომლის მთავარი მიზანი განათლებული, ზნეობრივი, შრომისმოყვარე, სამშობლოს სამსახურად მზადმყოფი ახალგაზრდობის აღზრდაა.


ა. კალანდაძე თავის მოსწავლეებთან ერთად

ალექსი ტაბატაძე,
*ქ. თბილისის 161-ე საშუალო სკოლის ქიმიის მასწავლებელი.*

# დასერილ გულში შემოჭრილი ნათელი სხივი



ნათქვამია, დრო ყველაფერს კურნავსო. მეც ასე ვფიქრობდი უწინ, მაგრამ „ყველაფერში''. ალბათ არ ყოფილა ნაგულისხმევი ის ყოვლისწამლეკავი გრძნობა, რომელსაც მშობლიური კუთხის დაკარგვითა და მისი მონატრებით გამოწვეული ნოსტალგია ჰქვია.

დღეს უკვე მხოლოდ სიზმრებში ვხედავ ჩემი სოხუმის პეწიან ქუჩებს, მუდამ მოსეირნე ხალხით სავსე ულამაზეს სანაპიროს, ცამდე ატყორცნილ კვიპაროსებს, მარაოსავით ტოტებგაშლილ პალმებს, სურნელოვან ოლეანდრებსა და მაგნოლიებს. ნაცნობ კუთხე-კუნჭულს ელოლიავება დღემუდამ ჩემი დაღლილი სული.

ხშირად მესიზმრება ზღვა, ზურმუხტისფერი, მოალერსე, თვალსა და გულს რომ აწყნარებდა და საოცარ შვებას გაგრძნობინებდა, ზღვა, რომელიც ომმა საშინელ ურჩხულად აქცია, რომლის ტალღებს, ჭუჭყიან ქაფთან ერთად, მოტივტივე გვამები მოჰქონდა ნაპირზე. სიზმრებში მე ძველ ზღვას ვხედავ, ომამდე რომ იყო, მზის შუქით აელვარებული, ნაზად მოჩურჩულე, ცოცხალ არსებასავით მსუნთქავი, ზოგჯერ კი მრისხანე და შეუპოვარი.

ასე მგონია, საუკუნე გავიდა მას შემდეგ, რაც ჩემი სოხუმი არ მინახავს, არ მინახავს ჩემი მე-5 სკოლა, სადაც 35 წელი მუხლჩაუხრელად ვიშრომე, როგორც ქართული ენისა და ლიტერატურის მთავარმა სპეციალისტმა, როგორც დირექტორის მოადგილემ სასწავლო-აღმზრდელობით დარგში.

ო, როგორ მინდა, ერთხელ მაინც შევავლო თვალი ჩემს კოპწია ქალაქს, ვემთხვიო მის მიწას (და მერე თუნდაც მოვკვდე), დავიჩოქო და შევაღაღადო გალაკტიონის განუმეორებელი სიტყვებით: „გამარჯობა, აფხაზეთო შენი“...

რვა წელმა რვა დღესავით გაირბინა. რკინის ფარდის მიღმა დარჩა ქართველთაგან დაცლილი სოფლები, ქალაქის უბნები და ქუჩები, წინაპართა შეგინებულ-შებილწული საფლავები, გოლგოთის გზაგამოვლილი ადამიანის ხორცის ტკივილი... ცრემლები თითქოს სამუდამოდ დაშრა თვალებში, შემდეგ... შემდეგ კი უსიხარულო, ტანჯული დღეები დედაქალაქში. ჰუმანიტარული წყალობის მოლოდინში მშიერი ბრბოს გრძელ რიგებში მთელი დღე დგომა, თავშესაფრის ძებნა... მინიმალური საარსებო საშუალებებისათვის, ჩაწიხლული ადამიანური ღირსების დაბრუნებისათვის ბრძოლა...



ისტორიის გაკვეთილი



გოგლა ლეონიძის საუბილეო საღამო სკოლაში

ო, ეს დაუსრულებელი მრავალწერტილები... ვინ იცის, რამდენი ვინ და რამდენი რა!.. რამდენი თქმული და რამდენი უთქმელი!.. სრული აპათია... და უცებ... ამ დასერილ გულში შემოჭრილი ნათელი სხივი... საყვარელი საქმე... სკოლის კედლები... ბავშვები... ღიმილიანი სახეები...

ადრე ვერც წარმოვიდგენდი, თუ სხვა სკოლაში ვიმუშავებდი, საერთოდ, თუ ვიცხოვრებდი სხვაგან. სოხუმში დავიბადე და გავიზარდე, არსად მეგულებოდა მისი სადარი. სახელი და დიდება არასოდეს მიძებნია. უხმაუროდ, უპრეტენზიოდ ვემსახურებოდი ჩემს საყვარელ საქმეს, ქართული ენისა და ლიტერატურის, ყოველივე ქართულის სიყვარულს ვუნერგავდი ჩემს აღსაზრდელებს.

ახლა უკვე აღარ მიკვირს, მაგრამ მაშინ კი გამუდმებით ვფიქრობდი, რატომ მიმიღო უცნობმა კოლექტივმა ასე თბილად დიდი ხნის მონატრებული მეგობარივით, რატომ ჩამიკრა გულში და მომესიყვარულა... პირველად ბატონი ჯუმბერ ცერცვაძე გავიცანი, საოცრად სიმპათიური, თბილი, სამართლიანი, დახვეწილი, გაწონასწორებული ვაჟკაცი. სკოლის თავკაცი. მასზე დღენიადაგ მზრუნველი და თავგადაკლული. ყველა მოსწავლეს რომ სახელით მიმართავს და ღვიძლი შვილივით ეფერება. ამიტომაცაა, რომ სკოლადამთავრებულები პირველად მისი კაბინეტის კარს შეაღებენ და მიესიყვარულებიან. შემდეგ კი სხვა მასწავლებლებს მოიკითხავენ...

მერე სასწავლო ნაწილის გამგეები გავიცანი, საოცრად სიმპათიური და ჭკვიანი ქალბატონები: ასმათ ტაბატაძე, ჯული ჩხეიძე და როზა კაკულია. ისეთი სითბო და ენერგია ვიგრძენი მათგან, არასოდეს დამავიწყდება. იმ დღიდან მხარში ამომიდგნენ, მაგულიანებდნენ, გულს მიხალისებდნენ, საფიქრალს მიიოლებდნენ, საერთოდ, სიცოცხლის ხალისს მიბრუნებდნენ.

არასდროს დამავიწყდება, როგორ მიმიღეს მშვენიერმა ქალბატონებმა (ამ სკოლაში, ალბათ, ტრადიციაა ლამაზი ქალების მასწავლებლობა): ბელა თოდუამ, მანანა ჭკუასელმა, მერი ჩუგუაშვილმა, მილეტა გაჩეჩილაძემ, ლამარა მანჯგალაძემ, ლეილა ბოჭორიშვილმა, მეგი ქავთარაძემ, დალი ქუთათელაძემ, ნუნუ ბრეგაძემ, მანანა ქურიძემ, ჩემმა უმცროსმა კოლეგებმა დალი ჩხაიძემ და ირინე ხელაძემ, მარინე უსენაშვილმა... რამდენი ჩამოვთვალო, არ ვიცი. შემდეგ მათ სხვებიც შეემატნენ: ხათუნა შუკაკიძე, თენგიზ ხეცურიანი, მაია ჯაბაური, ლელა ნერგაძე, ნინო კახიანი, ნათელა წულაია... ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს ყოველ მათგანს უკვე დიდი ხანია, რაც ვიცნობდი. სევდა რომ მომეძალებოდა, უმალ გვერდში ამომიდგებოდნენ, მამხნევებდნენ, გულს მიკეთებდნენ, ჩემთან ერთად ტიროდნენ და იცინოდნენ.

არაჩვეულებრივი წესრიგი სუფევდა ირგვლივ. მაშინ, როდესაც ბევრ სკოლაში საერთოდ მოშლილი იყო სასწავლო პროცესი, აქ მუშაობისათვის იდეალური გარემო იყო შექმნილი. მკაცრი დისციპლინა, მოსწავლეთა ასპროცენტიანი გამოცხადება სკოლაში, მომთხოვნელობა, ერთი სიტყვით, აბსოლუტურად ნორმალური ატმოსფერო, ჯანსაღი კლიმატი... აქ ჩქეფდა სისხლსავსე სასკოლო ცხოვრება, რომლის სულისჩამდგმელი ბატონი ჯუმბერი იყო თავისი დიდებული მოადგილეებითა და მშვენიერი პედკოლექტივით.

შრომა არასდროს მიძნელდებოდა, მით უმეტეს, არ მეზარებოდა. ბუნებრივია, მეც ავუწყე ფეხი სკოლის ყოველდღიურ რიტმს და სულ მალე ვიგრძენი, რომ პატივს მცემდნენ. მოსწავლეებმაც უპრობლემოდ მიმიღეს და შემიყვარეს, ერთი სიტყვით, ნაპირზე გარიყული თევზივით რომ ვიყავი ადრე, ისევ წყალში დამაბრუნეს. მაშინ ვიფიქრე, რომ ჯერ ყველაფერი არ იყო დამთავრებული ჩემთვის, კიდევ დიდი გზა მქონდა გასავლელი და ამ ხალხის დახმარებით გავივლიდი მას.

ექვსი წელი შესრულდა უკვე, რაც 161-ე სკოლაში ვმოღვაწეობ, სკოლაში, სადაც აფასებენ შრომას, სადაც არაფერი იკარგება, ოღონდ ადამიანი იყავი, ოღონდ კეთილსინდისიერად ემსახურე იმ საქმეს, რომელიც პროფესიად აგირჩევია.

არ ვიცი, დავბრუნდები თუ არა როდისმე აფხაზეთში, მაგრამ ერთი კი ცხადია, თუ ოდესმე მეღირსა ეს ბედნიერება, უღიდესი მადლიერებისა და სიყვარულის გრძნობა გამყვება ამ სკოლისადმი, მისი თითოეული პედაგოგისა და მოსწავლისადმი და ვიტყვი, რომ ეს წლები იყო უბედნიერესი ხანა ჩემს ცხოვრებაში.

ლიანა ბასილაია

## ოქროშხერი



**სოფიკო სოლოღაშვილი 10 წლის ხალისიანი გოგონაა. იგი 161-ე სკოლაში სწავლობს, უყვარს წერა, წერს ჩანახატებს, ლექსებს, მოთხრობებს, რომლებსაც უძღვნის სამშობლოს, დედას, ბებოს, ბუნებას.**

### ია და ენძელა

ია და ენძელა გვერდიგვერდ ცხოვრობდნენ. ისინი მეგობრები იყვნენ. ასკილს შურდა მათი და ცდილობდა დაეშორებინა ისინი. ის გამუდმებით გულს სტკენდა მათ და დაბოლმილი ეუბნებოდა: თქვენ ორივენი – იაც და ენძელაც უშნოები ხართ, ყველას ეცოდებითო. კოპწია ყვავილებმა კი იცოდნენ, რომ ასკილი ბოროტი, შურიანი იყო და ყურადღებას არ აქცევდნენ. ერთხელაც გამწარებულმა ასკილმა მათ ჭია მიუგზავნა გასახმობად, მაგრამ ჭიამ ია და ენძელა რომ დაინახა, მოეწონა ისინი და ასკილს უსაყვედურა, მერე კი ზედ ააცოცდა და წვალებით აავსო.

ხოლო ია და ენძელა პატარა გოგონამ ფრთხილად ამოიღო მიწიდან და ლამაზ ქოთანში ჩარგო. ასკილს ესეც კი შემურდა, მაგრამ რას იზამდა. ია და ენძელა ბედნიერად ცხოვრობდნენ პატარა გოგონასთან, რომელიც თავზე ევლებოდა მათ.



**სოფო მიქიაშვილი 161-ე სკოლის მე-8 კლასის ფრიადოსანი მოსწავლეა. სოფო სკოლის რადიოს დიჯეია. მომავალში ჟურნალისტობას აპირებს, წერს ჩანახატებს, მოთხრობებს, ლექსებს. თავისუფალ დროს ცეკვითა და მუსიკით ერთობა. როგორც თავად ამბობს, ყველასთან გახსნილი და უშუალოა და ამიტომაც არაბუნებრივი ადამიანები აღიზიანებენ. სოფო საღად მოაზროვნეა და საკუთარ ნაკლსაც თვალნათლივ ხედავს – არ უყვარს შენიშვნები, სამაგიეროდ, უყვარს ყურადღების ცენტრში ყოფნა, არის ჯიუტი და ამბიციური, თუმცა იმავე დროს გამოუსწორებელი ოპტიმისტიც გახლავთ. ყველას ენდობა და სამყარო იდეალურად ეჩვენება. უყვარს მთვარე, წვიმასა და თოვლში თავს ბედნიერად გრძნობს. ძალიან უყვარს ნიკოლოზ ბარათაშვილი, გალაკტიონი და ლადო ასათიანი.**

### უჩვეულო რესპონდენტი

გალაკტიონი ის ვეებერთელა მონასტერია ჩემთვის, რომელსაც დიდი ხანი ვუარე გარშემო და რაკი კარი ვერ ვუპოვე, ფეხისწვერებზე დავდექი, რათა მაღალი სარკმლიდან მაინც მომეკრა თვალი, რა ხდებოდა კედელს იქით...

– ბატონო გალაკტიონ, შეიძლება შემოვიდე? – ვკითხე მორიდებით.

– ძალიან მინდა, რომ შემოხვიდე, მაგრამ თქვენ, ადამიანებს, ეს არ ძალგიძთ – მიპასუხა დანანებით.

შევიშმუშნე, არ ვიცოდი რა მექნა... არა შესვლა, არამედ თვალის მოკვრაც კი უდიდესი ნეტარება იყო ჩემთვის, მაგრამ საქმე ის იყო, რომ ამ უკანასკნელსაც კი მხოლოდ რჩეულნი ახერხებენ. ხოლო მე სრულიად ჩვეულებრივი ადამიანი... მაგრამ მაინც გავბედე, ჯერ ფრთხილად შევაღე კარი, შევიჭყიტე, ერთი ფეხი შევდგი, მეორეც... და აი, მე აღმოვჩნდი ჩემთვის სრულიად უცხო, მაგრამ საოცრად ლამაზ, ნათელ სამყაროში, სამყაროში, სადაც თუ ფეხი შედგი, ვეღარ გამოხვალ, ოღონდ თუ ეს შეძელი... ერთი მხრივ, ძალიან გამიხარდა, რომ შესვლას შევძლებდი, მოგვიანებით კი თვით პოეზიის მეუფისაგან შევიტყვე, რომ პირველი ადამიანი ვიყავი, ვინც ეს მოახერხა, მაგრამ მეორე მხრივ ძალიან შემეშინდა და ერთიანად კანკალმა ამიტანა, რადგან ვიცოდი, რომ თუ იქ ღირსეულ ადგილს დავიმკვიდრებდი, ჩვეულებრივი სამყაროსგან განდევნილი აღმოვჩნდებოდი, ვეღარავინ გამიგებდა და ვეღარავის გავუგებდი, ისევე როგორც ეს ბუმბერაზი ნათლის სვეტი, რომელიც ჩემ წინ აღმართულიყო. თვალი დამიბნელა იმ სინათლემ, რომელიც მთელ საქართველოს ანათებდა, თითქოს ჩვეულებრივი ადამიანის ნიღბის მიღმა, გენიოსი იდგა.

– მე უბედნიერესი ადამიანი ვარ, რადგან მარტოსულმა პირველად ვნახე სულიერი, რომელმაც ჩემს სამყაროში შემოაღწია.

– მე არ ვიცი, რით დავიმსახურე ეს პატივი აბსოლუტურად ჩვეულებრივმა ადამიანმა.

მან გამიღიმა და იმ თითქოს ჩვეულებრივი დანაოჭებული ხელით მომეფერა, რომელიც სასწაულებს ახდენდა.

ერთიანად ავკანკალდი და სიხარულისაგან ცრემლები წამომცვივდა. მე პოეზიის მეუფეს, ნათელ მიუწვდომელ სვეტსა და ვეებერთელა მონასტერს გავესაუბრე, მაგრამ... მაგრამ უცებ თვალი გავახილე და მივხვდი, რომ ეს მხოლოდ სიზმარი იყო და დიდი გენიოსის სამყაროში ვერავინ შეაღწია.



**ქეთი მეფარიძე თბილისის 161-ე სკოლის მე-9 კლასის მოსწავლეა, უყვარს წერა, ხატვა და მუსიკა.**

**მისი საყვარელი ფერებია წითელი, ლურჯი და ღია მწვანე, საყვარელი წიგნები – „დორიან გრეის პორტრეტი“, „ჰომო ფაბერი“ და „ბაქანი“. საყვარელი მწერლები – შექსპირი, უაილდი, დოსტოევსკი, დოჩანაშვილი, საყვარელი პოეტი – გალაკტიონი.**

### ბავშვი

თქვენი გადაწყვეტილება ზედმეტად ბავშვური, არაორიგინალური და ბანალურია. თქვენ ხომ ბავშვი ხართ! ათი წლის პატარა ბიჭი, რომელსაც პირველად უწევს ფიქრი ცხოვრებაზე.

მშობლები სახლში არ ბრძანდებიან. სახლში სრულიად მარტო ხართ და ფიქრობთ, თავს იმტვრევთ როგორ მოიქცეთ.

შემიძლია გითხრათ, რომ თქვენი გადაწყვეტილება შეეფერება თქვენს ასაკს. მაგრამ იქნებ ის მცდარია?

უკან დახევა შეუძლებელია. დღეს თქვენი მომავალი საბოლოოდ წყდება!

მეგობრების დამცინავი სიტყვები, თუ ნატკენი ხელი და ცრემლები?!

საჭიროდ ვთვლი გაგაფრთხილოთ, არჩევანი ყოველთვის გეძლევათ!

იყურებით სარკეში. თქვენი აზრით, ჩალურჯებულ თვალებს ეშველება, ხოლო მეგობრების დამცინავ ფრაზებს – არა!

თქვენი გადაწყვეტილება ზედმეტად ბავშვური და უაზროა, მაგრამ ის მაინც თქვენი შველის გზაა.

თქვენ წარმოიდგინეთ საზარელ სურათებს, რომლებიც თქვენ გარშემო ბრუნავენ.

წარმოიდგენთ და ხვდებით, რომ თქვენი გადაწყვეტილება არც თუ ისე სწორია.

აი, უკვე გარეთ ხართ, უნდა აირჩიოთ, ჩხუბი თუ გაპარვა. ფიქრობთ, ფიქრობთ და...

– მოდი, შევრიგდეთ! – თქვენდა უნებურად მოძრაობენ თქვენი ბაგეები.

– შევრიგდეთ და დავივიწყოთ, რაც რამ თქმულა ჩვენ შორის!

თქვენი გადაწყვეტილება მართლაც და სწორია! თქვენ მესამე გზა ნახეთ...

ეს იყო პირველი გამოცდა!

მეორეს ელოდეთ!



**მეხუთეკლასელი ქეთევან კალაძე საგნებისა და მოვლენების საინტერესო ხედვით გამოირჩევა. გოგონას კალამიც უჭრის და ამიტომაც ახერხებს ნანახისა თუ ნაფიქრალის ქაღალდზე გადატანას.**

### ვის არ უხარია გაზაფხულის მოსვლა?

ვის არ უხარია გაზაფხულის მოსვლა და ჩემს ქურთუკს. მას გარეცხავენ, ჩადებენ დიდ პარკში და კარადაში ჩამოჰკიდებენ.

***

მე წითელი ძაფის გორგალი ვარ დ კალათში ვზივარ. ჩემ გვერდით ყვითელი ძაფი დასკუპულა და მეუბნება: ჩემთან დაჯექი, რა!

– არაფერიც! წითელი ძაფი ჩემთან იქნება! – გაბრაზდა ლურჯი.

– კი, მაგრამ, შენ რომ არ გიხდება? – თავი მოისაწყლა თეთრმა.

– მორჩა! – გადაჭრით თქვა შავმა. – წითელი ძაფი ჩემთან დაჯდება, იგი ყველაზე ძალიან მე მიხდება.

ასეა მთელი დღე, ხან თეთრ ძაფთან ვზივარ, ხან შავთან, ხან ლურჯთან. არ მინდა, რომელიმეს ვაწყენინო, ვზივართ ერთად და ვბჭობთ, როგორ გადავიდეთ ხალიჩაზე, როგორ დავხატოთ ათასნაირი რამ...

### მე და მათემატიკა

იცით, რა საინტერესო მეგობარი მყავს? რამდენიც უნდა იფიქროთ, ვერ გამოიცნობთ. ჯობია, მე თვითონ გითხრათ. ჩემი მეგობარია მათემატიკა. იგი ყოველდღე ახალ-ახალ რაღაცებს მასწავლის. მათემატიკასთან ყოფნა არასდროს მწყინდება. თუ დედა ახალ ამოცანას მომცემს, მე და მათემატიკა ერთად ვიჭყლეტთ ტვინს. მათემატიკა ჩემი ისეთი მეგობარია, რომელსაც შეიძლია ჰქონდეთ. მიხარია, რომ სკოლაში მათემატიკის კარგი მასწავლებელი მყავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახალი ლექსები



ოლეგ გველესიანი მრავალმხრივი შემოქმედია. იგი რამდენიმე პოეტური კრებულის, 500-ზე მეტი პუბლიცისტური წერილის და უამრავი საინტერესო ფოტონამუშევრის ავტორი გახლავთ.

დღეს ჩვენ წარმოგიდგენთ ოლეგ გველესიანის პოეზიას. მისი ყოველი პოეტური სტრიქონი გამსჭვალულია სიწრფელით, სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულით, მისი უკეთესი მომავლის იმედით.

ოლეგ გველესიანი

## სალამო ზედაზნიდან...

მზე გაეცულა
ჯვარსა და მცხეთას...
ზედაზენს შერჩნენ სხივთა მძივები.
არაგვის ტალღებს რომ გადახედავ,
სხვა ოცნებაში ჩაიძირები.
მთებს სვეტიცხოვლის ნათელი ადგათ,
ვით ათას სანთლის ერთად ანთება,
ძირს მოლივლივე არაგვის ტალღა
ზაგინეთის მთას ეთინათება.
ცივი ნიავი მოაქვს ხეობას,
შუქსავსე, მთვარე წითლად გაღვივდა...
მერე ვარსკვლავებს გამოახედა
გამოპარულან ღრუბელთ ზალიდან.

## წვიმა გიორგობის თვეში

წვიმა წვიმს და
ჩუმად მღერის...
წვიმა ლექსს წერს,
ხანაც ტკაცავს...
წვიმას მოსდევს სულ სხვა თქეში,
წვიმას გიორგობისთვეში.
წვიმას დაჰკრავს სულ სხვა ფერი,
წვიმა სხვაგვარ ზარებს რეკავს,
ჯერაც მწვანე ზალახს თქორავს
მუხნარებში ფოთოლს თქეშავს,
ცილან მოწვიმს,
ზღვიდანაც წვიმს,
ხან გაიგდებს ღრუბლებს ქვეშაც,
ხან თოვლს მოსდევს
და ხან ქარებს ეჯიბრება სიარულში...
წვიმა ჩუმად ილოცება –
საქართველოს სიყვარულში.

***

ღვინობისთვე –
მთვარიანი ღამე...
მტკვრის მორევთან
თვლემს მეთევზის ნავი.
დახავსულ კლდეს წყალი მოღვარღვარებს,
აქ სხვაგვარად მოჩხრიალებს მხეფი.
დგას მეთევზე სევდიანი სახით,
ფიქრს არა აქვს არასოდეს ბოლო...
მტკვარი თითქოს ხმაურობდა სხვა ხმით,
მიჰყვებოდა ხევს ნისლების ზოლი.
ღამეს აფრთხობს
ელმავალის შუქი,
ვაგონები ტალღებს აცახცახებს...
მკერდზე ხარბად მოფერებულ ქარებს –
შეიცხადებს სიამაყე ცაცხვის.
წევს ქვიშაზე –
მუხის ჩრდილი ზანტად
არ ილვიძებს –
თვლემს მეთევზის ნავი.

## კენწეროები

კენწეროები,
კენწეროები...
გრძნობენ სიმაღლეს და ირხევიან,
დაფარფატებენ თავს წეროები,
ძირს აქეთ-იქით დიდი ხევია.
კენწეროები ნისლს მიაღლევენ,
ასცილებიან ჯაგნარს ეკლიანს,
უცებ მოვარდნილ წყალს და ნიაღვრებს
უმკლავდებიან, არ უდრკებიან!..
მაღლა ამაყად მონარნარებენ,
მზისკენ ჯიუტად მიიწევიან...
შეყვარებულნი უცხო ქარებთან
იკაზმებიან და ირწევიან.
დაფორაობენ გაბმულ ნიავში,
ხევის ათასგვარ ამბებს ყვებიან...
ამ გაზაფხულის რია-რიაში,
ძველი ფესვები დავიწყებიათ
ცას შეჰყურებენ მაღლა ტოტები,
ქვემოთ არასდროს იხედებიან...
ძირს მოჩითულა მწვანე კორდები
ნაირფერებად ხავერდდებიან.
მაგრამ ხანდახან, როცა გრიგალი
ქვეყნის დაქცევის სურვილს გაივლებს,
ცა მოლივლივე ლურჯი ფიქალი
შუა გატყდება და გაიელვებს.
მაშინ, როდესაც მშვიდი ნიავი,
იქცევა უცხო სხვა ქარაშოტად,
დაუნდობელი და გულზვიადი
უცებ მოსტეხავს, მიწას გაშოტავს.
მოლზე დაგრილი წვება კენწერო,
ველარას შველის მზე ყოვლისმცველი.
დაფარფატებდა ზეცაში წერო
დაბლა ხის ფესვებს სცვიოდა ცრემლი.

## ვარძიაში

შენ ჩემო დიდო წინაპარო
ფესვებძლიერო –
აქ ისევ ცოცხლობ
ამ კლდეების იდილიაში.
შენ მდიდარი ხარ
ამ ფრესკებით,
ამ პოეზიით,
მით გაიმარჯვე
ამ ცხოვრების ორომტრიალში.
მთვლემარ ლოდებში
თეთრ გვირილებს წელი ემტვრევათ,
შორს ცაფირონი მოლაყვარდებს,
მტკვარს ნისლი ადევს,
გულს მოვარდნილი სტიქიონი
აღარ ეტევა
შენი ჩუქურთმის სიელვარე
და სიდიადე.



# ქველმოქმედება გულების გათბობასაც გულისხმობს

სიტყვა „ქველმოქმედება"ლექსიკონებში განმარტებულია როგორც უქონელთა მატერიალური დახმარება, მაგრამ მოცემულ შემთხვევაში მან დამატებითი შინაარსი შეიძინა – გულების გათბობა. დიახ, გულების გასათბობად, სევდამორეული ცხოვრების გასახალისებლად ეწვია გიორგობის დღესასწაულზე მოხუცებულთა თავშესაფარ „სავანეს" თბილისის ნაძალადევის რაიონის მოსწავლე ახალგაზრდობის ცენტრის ესპერანტოს კლუბი „ფლორო" სრული შემადგენლობით. იმ დღეს „ფლოროს" სამოცდაათივე წევრს და მათ შესანიშნავ მასწავლებელს ქალბატონ ლამარა ცუცქირიძეს ერთი კეთილშობილური მიზანი ამოძრავებდათ – სიმღერით, ლექსით, ცეკვით, მოსწრებული სიტყვით სინათლის სხივი შეეტანათ ამა თუ იმ გარემოების გამო სათნოების სახლში მოხვედრილი ხანდაზმული ადამიანების გაერთფეროვნებულ ცხოვრებაში.



უმალ გადაასხვაფერეს სათნოების სახლის დარბაზი „ფლოროს" წევრებმა, შემოდგომის მშვენიერი ყვავილებითა და ჭრელ-ჭრელი ბუშტებითააფერადეს, წკრიალა ხმებითა და გულიანი სიცილით გააცოცხლეს, საკუთარი გულების სითბოთი გაათბეს.

ქალბატონი ლამარა თავის მოსწავლეებს ესპერანტოს, ცეკვა-სიმღერების გარდა, გულმოწყალებას, ურთიერთთანადგომას, სიკეთის თესვასაც ასწავლის და ამიტომაც ამ გოგო-ბიჭებს სრულიად ბუნებრივად მიაჩნიათ ამგვარი საქველმოქმედო კონცერტებით გამოსვლა და საკუთარი შემოქმედებით სიხარულის მინიჭება. ტონი კონცერტს თავად ქალბატონმა ლამარამ მისცა, ტონი კი თავიდანვე ისეთი მაჟორული აღმოჩნდა , რომ დარბაზში მყოფთ სიცივეც გადაავიწყდათ და მოწყენილობაც, ზოგი უფრო ხალისიანი მოხუცი კი პატარების სიმღერებს აყოლილი თავისდაუნებურად აღიღინდა, ხოლო რამდენიმე მათგანი ბავშვების შემხედვარე, საცეკვაო





რიტმში ამოძრავდა.

გოგო-ბიჭებმა ქართულ და ესპერანტო ენებზე შეასრულეს სიმღერები სამშობლოზე, თბილისზე, მეგობრობაზე. ჩვეული ოსტატობით გამოირჩეოდნენ წამყვანი სოლისტები, „ფლოროს" ვარსკვლავები: ლიკა ჯანანაშვილი, ნანა ყამარაული, მაკა ბარბაქაძე, ბექა პაიჭაძე, მარიამ ჟღენტი, ნინო ნადირაძე, თამუნა ჯიჯურიძე, მარიამ გელაშვილი, გვანცა და კახა კახიანები, ტყუპი დები ნანა და ნინო ბარნოვები, დები ჯელაძეები, დები კობახიძეები, და-ძმა ქესაურები და სხვები.





ცეცხლი დაანთეს სცენაზე მოცეკვავეებმა ნანა ყამარაულმა, მაკა ბარბაქაძემ, ნინო ასანიძემ, არზუ ალიევამ, გიორგი გაგნიძემ, კოტე ასლამაზიშვილმა, რომლებსაც ბოლოს ლამის ყველა აჰყვა სცენაზეც და დარბაზშიც.

მრავალმხრივი ნიჭიერებით გამორჩეულმა ლევან კახიშვილმა კი თავისი პაროდიებით უკლებლივ ყველა გაამხიარულა, ხოლო კონცერტის მიწურულს შესანიშნავად წაიკითხა მუხრან მაჭავარიანის ლექსი „იარონ". თავისი წვლილი შეიტანეს კონცერტის წარმატებაში „ფლოროს" უცვლელმა აკომპანიატორმა ციცო წნორიაშვილმა და ახალშემომატებულმა გელა გაგნიძემ.

თავის აღსაზრდელებთან ერთად მღეროდა და ხალისობდა ყოველივე ამის ინიციატორი და სულისჩამდგმელი, საკეთის უშურველად მთესველი ქალბატონი ლამარა ცუცქირიძე. იმ დღეს ქალბატონმა ლამარამ ტრადიციისამებრ საკუთარი სახსრებით შეძენილი პროდუქტებიც მიართვა „სავანეს" ბინადართ, სიმხნევე და ჯანმრთელობა უსურვა მათ საკუთარი სახელითაც და თავისი მოსწავლეების სახელითაც. თავის მხრივ „სავანეს" დირექტორმა ქალბატონმა მერი გოგოლმა დიდი მადლობა გადაუხადა ბავშვებს, ქ-ნ ლამარას თანადგომისათვის და იმ სიხარულისათვის, რომელიც მათ იმ დღეს მოხუცებულ ადამიანებს მიანიჭეს. მადლობის სიტყვებით მიეფერნენ პატარებს „სავანეში" სტუმრად მისული საქართველოს ქალთა საბჭოს წევრები, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ქ-ნი ზინაიდა კვაჭაძე.





# საახალწლო მოზაიკა



## ახალი წელი + ჭირნახულის დღესასწაული

კუნძულ ბორნეოზე ახალი წლისათვის მზადებას ერთი კვირით ადრე იწყებენ. ამ შვიდი დღის განმავლობაში აქ განუწყვეტლივ ისმის გონგის ხმა. ახალი წლის შეხვედრას – ერთდროულად ჭირნახულის დღესასწაულს – კუნძულის მოსახლეობა საზეიმო მსვლელობით აღნიშნავს, რომლის დროსაც დიდსა თუ პატარას მოაქვს სხვადასხვა ხილი, ბოსტნეული, ათასგვარი მცენარეულობა.



## ხარებთან ერთად

საახალწლოდ მექსიკელები თვითონაც ირთვებიან ცოცხალი და ქაღალდის ყვავილებით, და სახლებსაც რთავენ, გარდა ამისა, აწყობენ კარნავალებსა და ხარების ბრძოლებს. ყოველივე ამას კი განუწყვეტელი ზარების რეკვა ახლავს თან.



## კიდევ კარგი კონფეტი ქაღალდისაა

XIX საუკუნის პირველ ნახევარში ცნობილი რომაული კარნავალის ბოლო დღეებში მიღებული იყო ერთმანეთისათვის დაშაქრული ნუშის ან თხილის სროლა, პორტუგალიაში კი ტკბილეულის ნაცვლად ბარდას ისროდნენ. მოგვიანებით თხილი და ნუში თაბაშირის ან ცარცის ბურთულებმა შეცვალა. მაგრამ ასეთ ბურთულებს სახის დაზიანება მოსდევდა და ამიტომ პოლიციამ აკრძალა ეს სახიფათო „კონფეტი". გასული საუკუნის მიწურულს ერთ-ერთი პარიზული რესტორნის მფლობელმა თაბაშირის დრაჟეს ქაღალდის რგოლებით შეცვლა მოიფიქრა. ასე გაჩნდა თანამედროვე ჭრელ-ჭრელი კონფეტი.

## მაგელანის საახალწლო სუფრა

ახლოვდებოდა 1521 წელი. მაგელანი, რომელმაც მსოფლიო ზღვაოსნობის ისტორიაში პირველმა გადაკვეთა წყნარი ოკეანე, და მისი მეზღვაურები ახალი წლის შესახვედრად ემზადებოდნენ. აი რას წერს ამის შესახებ იტალიელი პიგაფეტი: „იმ ახალი წლის ღამეს შიმშილით რომ არ დავხოცილიყავით, იძულებული ვიყავით ტყავის ქამრები შეგვეჭამა. ეს ქამრები, რომლებსაც რამდენიმე წელი ვატარებდით, იმდენად იყო გახევებული, რომ მთელი კვირა ზღვის წყალში გვქონდა ჩალბობილი. მერე ქამრები შევწვით და გემრიელად შევექეცით, ზედ კი ღვინო დავაყოლეთ, რომელიც, საბედნიეროდ, კიდევ შემოგვრჩა".



## პირველები, სულ პირველები

დედამიწაზე პირველები ახალ წელს ფიჯის კუნძულების მცხოვრებნი ეგებებიან. მათ შემდეგ ახალი წლის დადგომას ამომავალი მზის ქვეყნის – იაპონიის მოსახლეობა აღნიშნავს. იაპონელები მუხლმოყრილნი უკითხავენ მნათობს საზეიმო საგალობლებს.



## უახალწლოდ

ზღვაოსნები, რომლებიც ახალი წლის წინა ღამეს სამოას კუნძულიდან ავსტრალიისაკენ მიცურავენ, საახალწლო ზეიმის გარეშე რჩებიან. საქმე ის არის, რომ ზღვაში 31 დეკემბერს გასულები, ისინი კვეთენ დროის პირობით ზღვარს – თარიღების ცვლის ხაზს და ავსტრალიაში 2 იანვარსღა ხვდებიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საკონტროლო წერა თემაზე:

# მე რომ ქვეყნის პრეზიდენტი ვიყო...

## წერენ ადიგენის რაიონის დაბა აბასთუმნის საშუალო სკოლის მოსწავლეები

მე რომ საქართველოს პრეზიდენტი ვიყო, ვიბრძოლებდი ქვეყნის გაერთიანებისათვის, დავიბრუნებდი აფხაზეთს, დავიბრუნებდი სამაჩაბლოს, გავაძლიერებდი ქვეყანას, ისე როგორც დავითის მეფობის დროს იყო ერთიანი და ძლიერი საქართველო.

**თამარ მერმანიშვილი,**
***IV კლასი***

მოვუვლიდი ქვეყანას, დავურიგებდი ხალხს ხელფასებს და პენსიებს. გავალამაზებდი ქალაქებსა და სოფლებს. ავაშენებდი დიდ სპორტის დარბაზებს ბავშვებისათვის. გავალამაზებდი და გავათბობდი სკოლებს. ყველას მივცემდი მუდმივ სინათლეს.

**მარიამ მერაბიშვილი,**
***IV კლასი***

პირველ რიგში სახელმწიფოში დავამყარებდი წესრიგს. კურორტებსა და დაბებში ავკრძალავდი ხე-ტყის ჭრას, რომელიც აუცილებელია ჩვენი ჯანმრთელობისათვის. დავაფინანსებდი საავადმყოფოებს, რომ ადამიანები ავადმყოფობით არ დაიღუპნონ. გავცემდი ხელფასებს, მოვამატებდი და დროულად გავცემდი პენსიებს. ავამუშავებდი ქარხნებს, ფაბრიკებს, რითაც უმუშევრებს დავასაქმებდი. მეტ ყურადღებას დავუთმობდი უპატრონო ბავშვთა და მოხუცთა თავშესაფარებს. ხალხს მივაწვდიდი ელექტროენერგიას და გაზს. კეთილმოვაწყობდი გზებს.

დავიცავდი განადგურებისაგან ჩვენს კულტურულ ძეგლებს. გავხსნიდი პარკებს, ბაგა-ბაღებს. გავაშენებდი ნაკრძალებს, სკვერებს. გავაძლიერებდი ბიუჯეტს. ყურადღებას მივაქცევდი ბავშვთა აღზრდას. დავიცავდი ქართულ ფოლკლორს განადგურებისაგან.

დავიბრუნებდი აფხაზეთსა და ოსეთს. ლტოლვილებს დავაბრუნებდი თავიანთ სახლებში, რითაც საქართველოს გავაერთიანებდი, ავაყვავებდი და ძლიერ სახელმწიფოდ ვაქცევდი.

**ნინო ხარაიშვილი,**
***VI კლასი***

დავამყარებდი ქვეყნად მშვიდობას. მეყოლებოდა ძლიერი ჯარი. დავიცავდი ქვეყნის საზღვრებს. ლტოლვილებს დავაბრუნებდი თავიანთ სახლებში. ავამუშავებდი გაჩერებულ ფაბრიკა-ქარხნებს და დავასაქმებდი ათასობით უმუშევარ ადამიანს. დროულად გავცემდი პენსიებსა და ხელფასებს.

დავეხმარებოდი ყველა გაჭირვებულ ადამიანს, მარტოხელა მოხუცებს. განსაკუთრებით ვიზრუნებდი ბავშვების, მომავალი თაობის ბედნიერი ცხოვრებისათვის.

**მარიამ აბულაძე,**
***IV კლასი***

პირველ რიგში დავამყარებდი მშვიდობას, გავაძლიერებდი ეკონომიკას, დავურიგებდი მოხუცებს პენსიებს, ვიზრუნებდი ქვეყნის ბიუჯეტზე, ავამუშავებდი ფაბრიკა-ქარხნებს, მოხუცებისა და მზრუნველობას მოკლებული ბავშვებისათვის გავხსნიდი თავშესაფარებს, მივცემდი მოსახლეობას ოცდაოთხსაათიან ელექტროენერგიას, შევუქმნიდი ბავშვებს ყველანაირ პირობებს სწავლისა და აქტიური დასვენებისათვის. ამიტომ მინდა ვიყო ქვეყნის პრეზიდენტი.

**ზურაბ შაყულაშვილი,**
***VI კლასი***

მე რომ პრეზიდენტი ვიყო, საქართველოს დავიცავდი. საქართველოში მტრებს არ შემოვუშვებდი, ხალხს დავეხმარებოდი, ბევრ ხელფასს მივცემდი, რომ ეცხოვრათ კარგად. ვეცდებოდი საქართველოს ბავშვებისათვის გამეკეთებინა ბევრი კარგი რამ.

**თამუნა ჟულჯანიშვილი,**
***IV კლასი***

დავიბრუნებდი აფხაზეთს, გავაერთიანებდი ქვეყანას, ქართველ ხალხს. მე გავალამაზებდი გზებს, დავაგებდი ასფალტს, გავაშენებდი პარკებსა და ბაღებს, სადაც ბავშვები უფასოდ გაერთობოდნენ. ასევე ავაშენებდი ეკლესიებს, დანგრეულ სკოლებსა და სოფლებს, ხალხს დავეხმარებოდი გაჭირვებაში და ყველას ვამუშავებდი.

**მარგარიტა ცინცაძე,**
***V კლასი***

დავიბრუნებდი აფხაზეთს, კარგ ცხოვრებას შევუქმნიდი ხალხს, შევაკეთებდი სკოლებს, ქვეყანას შუქითა და გაზით უზრუნველვყოფდი. გავასუფთავებდი მდინარეებს, გზებს კარგად გავაკეთებდი. გავხსნიდი სამსახურებს და უმუშევარ ხალხს ვამუშავებდი და ხელფასს მოვუმატებდი. პენსიებს მოვუმატებდი. დანგრეულ სახლებს ხელახლა ავაშენებდი, ყველა დანგრეულ ძეგლს გავაახლებდი. ავაშენებდი სპორტულ მოედნებს ბავშვებისათვის, სადაც ისინი უფასოდ ივარჯიშებდნენ. ხე-ტყის გაჩეხვის ნებას არავის მივცემდი, რადგან ხე-ტყე აუცილებელია, ადამიანის ჯანმრთელობისათვის. მე ასე მოვიქცეოდი.

**ნათია ამბარიანი,**
***VI კლასი***

პირველ რიგში დავიბრუნებდი დაკარგულ აფხაზეთს. ხალხს მოვუმატებდი პენსიებს და ვუბრძანებდი თავის დროზე დაერიგებინათ. ავამუშავებდი ფაბრიკა-ქარხნებს, გავცემდი ხელფასებს, დავასაქმებდი უმუშევარ ხალხს, მკურნალობას გავხდიდი უფასოს, სასტიკად ავკრძალავდი ქურდობას, ყაჩაღობას და ბანდიტობას, გავხსნიდი უპატრონოთა სახლს, დავაფინანსებდი სანატორიუმებს, გავაძლიერებდი საქართველოს ჯარებს, დავამყარებდი სიმშვიდეს. ჩემი სურვილი იქნებოდა, ხალხს ეცხოვრა მშვიდად და აყვავებული ყოფილიყო საქართველო.

**თამარ ჟულჯანიშვილი**

პირველ რიგში გავაერთიანებდი და გავაძლიერებდი საქართველოს დავამყარებდი სისუფთავეს, გავაკეთებდი გზებს, დავასუფთავებდი მდინარეს, ავკრძალავდი ტყის ჩეხვას. გავაშენებდი პარკებს, მეტ ყურადღებას მივაქცევდი ბავშვების აღზრდას. ყურადღებას მივაქცევდი აბასთუმნის ასტროფიზიკურ ობსერვატორიას, რომელიც ერთ-ერთი უდიდესი სამეცნიერო ცენტრია მსოფლიოში. კურორტის ბალნეოლოგიურ წყლებს ჩავაყენებდი ხალხის სამსახურში. ვიზრუნებდი ხალხის კეთილდღეობაზე, ყველას მივცემდი სამუშაოს.

**ნუცა ხარაიშვილი**
***V კლასი***

# მსოფლიო კიდით კიდემდე

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საფრანგეთი

ქ. სტრასბურგის არასრულწლოვანთა საქმეების სასამართლო კომისია იძიებს 15 წლის მოსწავლის საქმეს, რომელმაც თავის სკოლაში ანტიამერიკული დემონსტრაცია მოაწყო. დემონსტრაციაზე, რომელშიც 100-მდე მოზარდი მონაწილეობდა, გაისმოდა შეძახილები: „ძირს ამერიკელები, გაუმარჯოს ბინ ლადენს!“ ტერორისტული აქტების მხარდაჭერისთვის საფრანგეთის კანონი 5 წლიან პატიმრობას და 22 ათასი დოლარის ჯარიმას ითვალისწინებს.

## ესტონეთი

16 წლის ესტონელმა ვუნდერკინდმა ინფორმატიკის გაკვეთილზე შეთხზა პატარა ბარათი „თქვენი სიკვდილი“ და ელექტროფოსტის არხებით თეთრ სახლში გაგზავნა იგი. ამერიკის სპეცსამსახურები უმალ ფეხზე დადგნენ და სულ ადვილად დაადგინეს გზავნილების ავტორის ვინაობა და მისამართი. ორი დღის შემდეგ კი მოზარდი ესტონეთის უშიშროების პოლიციაში იძლეოდა ჩვენებებს. როგორც თავად ელექტრონული ტერორისტი აცხადებს, მას არ ეგონა, თუ სკოლის სერვერი ამ ბარათს შიდა ქსელის საზღვრებს მიღმა გაგზავნიდა. ეს ყმაწვილი მთელ გიმნაზიაში ერთ-ერთი საუკეთესო მოსწავლე და მათემატიკის ბრწყინვალე მცოდნეა, მაგრამ ახლა, გარდა იმისა, არადამაკმაყოფილებელი ნიშანი დაიმსახურა, იგი ვეღარც ნორჩ მათემატიკოსთა საერთაშორისო ოლიმპიადაში მიიღებს მონაწილეობას.

## დიდი ბრიტანეთი

ინგლისელი მწერლის ჯოან ქესლინ როულინგის წიგნები ჰარი პოტერის შესახებ გამოსვლის უმალ ბესტსელერად იქცა. კინომოღვაწეებმაც არ დააყოვნეს და დაუყოვნებლივ მოჰკიდეს ხელი ამ შესანიშნავი ნაწარმოების ეკრანიზაციას. პირველი წიგნის „ჰარი პოტერი და ფილოსოფიური ქვა“ ეკრანულ ვარიანტში ჰარის 12 წლის დენიელ რედკოლიფი ანსახიერებს. ფილმს უდიდესი წარმატება ხვდა წილად.

## ჩინეთი

ჩინელების, კერძოდ ამ ქვეყნის მასწავლეების კომპიუტერზე მუშაობას დამატებითი სიძნელეები ახლავს – მათ ხომ 47 კლავიშიანი კლავიატურის მქონე კომპიუტერზე რაიმე ტექსტის დაბეჭდვა 6 ათასი სიმბოლოს (იეროგლიფის) შემცველ ენაზე უწევთ. ამჟამად კომპანია „მაიკროსოფტი“ ეძებს გზებს, რომლებიც შესაძლებელს გახდის კომპიუტერის ეკრანზე ზეპირმეტყველების ჩინურ იეროგლიფებში გადატანის ტექნოლოგიის გამოყენებას, რაც ალბათ კიდევ უფრო გაზრდის კომპიუტერის მომხმარებელთა რაოდენობას ჩინეთში.

## კოსტა-რიკა

სკოლის ახალმა დირექტორმა მოსწავლე გოგონებს სკოლაში შარვლით სიარული აუკრძალა. მის ბრძანებას ყველა დაემორჩილა 10 წლის მარია ფერნანდა პერესის გარდა. გოგონას მშობლებიც უჭერდნენ მხარს. მარიას და მისი მშობლების სიჯიუტით გაკვირვებული მასწავლებლები ურჩევდნენ მათ არ გაემწვავებინათ კონფლიქტი დირექტორთან, მაგრამ საკუთარ სიმართლეში დარწმუნებულმა პერესებმა აზირებულ დირექტორს სასამართლოში უჩივლეს და გაიმარჯვეს კიდეც. მსაჯულებმა მარიას სკოლაში შარვლით სიარულის უფლება მისცეს.

## ლატვია

ლატვიის დედაქალაქში ჩამოყალიბდა ახალგაზრდული გაერთიანება „ანტიკრიმი“. გაერთიანება მას შემდეგ შეიქმნა, რაც ერთ-ერთ რიგელ გოგონას თავს დაესხა მოძალადე. გოგონამ მეგობრებს შესჩივლა და ბიჭებმა გადაწყვიტეს, გაერთიანებულიყვნენ იმათ დასაცავად, ვისაც თავად არ ძალუძთ მოძალადეების მოგერიება. ამიერიდან, 40 ახალგაზრდა ყოველდღე ატარებს რეიდებს, რომელთა დროსაც ავლენენ, აკავებენ და პოლიციას აბარებენ ნარკოტიკებით მოვაჭრეებს, მძარცველებს, რეკეტირებს. მუშაობის დაწყებამდე „ანტიკრიმის“ წევრები სათანადო მომზადებას გადიან – ორი თვის განმავლობაში სწავლობენ სამართალმცოდნეობას, ექსტრემალურ სიტუაციებში თავის გადარჩენის წესებს, პირველი სამედიცინო დახმარების აღმოჩენას, იარაღის ხმარებას, ხელჩართული ბრძოლის ილეთებს. ანტიკრიმელთა რაზმში ჩაწერა ყველას შეუძლია, ოღონდ არასრულწლოვანებმა ჯერ მშობლების თანხმობა უნდა მიიღონ.

# ჩემი სახელი ახსენე, და...

მანანა გელაშვილი

*მოთხრობა*

*მხატვარი კარლო ფაჩულია*



სულ არ იყო ამ კვირა დღეს სიდონია მუსიკის გაკვეთილისთვის განწყობილი. ბუზღუნ-ბუზღუნით აიზლაზნა ლოგინიდან.

— მამა კიდევ არ ჩამოსულა, ხომ?.. არ წავალ, რა, დე, გაკვეთილზე... გამიჭირა, რა მაგანაც საქმე, კვირას მეცადინეობა აღარ გამიგია... დიდი ამბავი იქნებოდა, ამ ერთხელ გამეცდინა!

— არა გრცხვენია, სიდო, ამაზე ლაპარაკი უნდა გჭირდებოდეს? ის კაცი შენთვის ცდილობს, დღედღეზე კონცერტი გაქვს, შენ კიდევ... — გაწყრა დედა.

— ოოო, სულაც არ წავალ იმ კონცერტზე და ეგ იქნება!..

— კარგი, კარგი ერთი! დროზე დაიბანე ხელ-პირი და მოდი, ჩაი დალიე, დასხმული გაქვს, არ დაგაგვიანდეს!

— დამაგვიანდეს და დამაგვიანდეს, ძალიანაც კარგი! — ვეღარ მოგუნებდა სიდონია. სარკის წინ იდგა და უხალისოდ ივარცხნიდა თმებს. — კიდევ არ ჩამოვიდა მამა. უკვე მერამდენედაა ასე — დაიბარებს, სამი-ოთხი დღით მივლინებაში მივდივარო და კვირაობით კი იკარგება... ერთიორჯერ დარეკავს, დამატებით საქმეები გამომიჩნდა და შევყოვნდებიო... რაღაცაშია საქმე.

— ისევ ეგ გაქცული შარვალი და მოფლაშული სვიტერი ჩაიცვი, არა?! — გაღიზიანდა დედა. — ნეტავ შენ ეგრე ლაჩათრიასავით არ დადიოდე და რა ვიცი... თითქოს სხვა არაფერი გქონდეს ჩასაცმელი... რანაირი გოგო ხარ, ვერ გამიგია, ერთი ბეწო სიკოხტავე არა გაქვს.

— კარგი, რა, დე, გამანებე თავი, თორემ იცოდე, კონცერტზეც ამ შარვალსა და სვიტერს ჩავიცვამ!

— სულაც არ გამიკვირდება, შენგან ეგეც მოსალოდნელია...

— ყველაფერი იმაზე იქნება დამოკიდებული, როგორ გუნებაზე ვიქნები... და, საერთოდ, შენი ხათრით დავდივარ მუსიკაზე, თორემ დიდი ხნის მიტოვებული მექნებოდა.

— ჰო, იბუზღუნე, იბუზღუნე! ეს — ახლა, მერე კი, ნახე, თუ მადლობელი არ დამრჩე, თავი რომ არ დაგანებებინე. რომ გიჭირდეს, კიდევ ჰო... უბრალოდ, ზარმაცი ხარ, თორემ როცა მოინდომებ... ჩქარა, ჩქარა, გაგვიანდება!

სიდონიამ უგემურად ისაუზმა, მერე ჩვეული მოძრაობით გადაიკიდა მხარზე ვიოლინოს ბუდის თასმა, ჯამიდან რამდენიმე მსხვილი ალუჩა აიღო და უხალისოდ დაეშვა კიბეზე.

მშვენიერი ამინდი იდგა. ადრე დილით გადავლილ შხაპუნა წვიმას ყველაფერი გაეკრიალებინა. სადარბაზოს წინ ბეღურების გუნდი გაჟიებულ პურის ყუას ესეოდა. სიდონიას მიახლოებაზე შრიალით აიშალნენ. შორს არც ერთი არ გაფრენილა, იქვე ჭადარზე ჩამოსხდნენ და როგორც კი სიდონი გაიგულეს, ისევ ძირს დაეშვნენ. ქუჩიდან ფერდაკარგული ბზერი ძაღლი შემობორიალდა, უაზროდ აედევნა, რამდენიმე ნაბიჯზე მიჰყვა და სხვა მხარეს გაუხვია. მერე ზაზამ ჩამოიქროლა ველოსიპედით. — პაგანინის გაუმარჯოს! მეტისმეტი არ მოგივიდეს, სიდ, შუაზე არ გადახერხო ეგ შენი ვიოლინო! — შორიდან მიაძახა და კორპუსის უკან მიიმალა. ზაზამ უარესად წაუხდინა გუნება, გაგულისებულმა ალუჩა მიაყოლა ზურგში. ხელები შარვლის ჯიბეებში ჩაიყო და ეზოდან გავიდა. ავტობუსი სანახევროდ ცარიელი იყო. თავისი საყვარელი უკანა ბაქნის კუთხეში მიიყუჟა და ვიოლინო ფეხებსშუა მოიქცია. ბაზართან ვიღაც ღიპგადმოვარდნილი კაცი ამოვიდა ქშენით, ხვითქი გადასდიოდა. ორორი დიდრონი ჩანთა ძლივს ამოიტანა, დაჯდა და ღიპიც მუხლებზე ჩამოისვენა.

„აუჰ, მამაჩემს რომ ასეთი ღიპი დაედოს!“ — გაუელვა სიდონიას და თვალი მოარიდა. ავტობუსი, ის იყო, დაიძრა, მაგრამ, ეტყობა, მძღოლმა სარკეში ვიღაც დაინახა, შეყოვნდა და კარი გააღო.

„ეე, ეს ის ახალი ბიჭი არ არის? რა გვარია? ჰო, სარდლიშვილი, თაყა სარდლიშვილ. ან რა გვარი აქვს, ან რა სახელი, ბიჭო! გეგონება, ერეკლე მეფის მოლაშქრეაო... მაგას ახლა ერთი ჩოხა-ახალუხი, ვერცხლის ქამარხანჯალი და... ისე ტანი, იცოცხლე, კი აქვს საჩოხე... თუმცა ჯინსიც კარგად უხდება...“

თაყა სარდლიშვილი მარჯვედ ამოხტა ავტობუსში. ხელში ჩიტებიანი გალია ეჭირა.

„ერთი, ერეკლეს მოლაშქრე კი არა“... — აიმრიზა სიდონია.

ბიჭმა თანაკლასელი დაინახა და მიესალმა. იქვე, მის გვერდით გაჩერდა, გალია ისევ ხელში ეჭირა.

— შენ რა, ნორჩი ორნითოლოგი ხარ? თუ უმცროს დაიკოს უყიდე ჩიტები დაბადების დღეზე? — დაცინვით ჰკითხა სიდონიამ.

– არც ერთი და არც მეორე. – მშვიდად მოუჭრა თაყამ. – ბილეთი გაქვს?

– კი, გმადლობთ.

ბიჭის ტონმა ერთბაშად გაუქრო სიდონიას ქილიკის სურვილი.

– მუსიკაზე მიდიხარ? – თვალით ანიშნა თაყამ ვიოლინოზე.

– ჰო, მალე კონცერტი მაქვს და... შენ აქეთ ცხოვრობ?

– არა, ავტოსადგურში მივდივარ.

– ავტოსადგურში? სადმე უნდა წახვიდე?

– ჰო, საგურამოში.

– ჩიტებიანად?

– ამათთვის მივდივარ და...

– რაა?

– უნდა გავუშვა.

– იყიდე და ახლა უნდა გაუშვა?

– ჰო, ტყეში უნდა გავაფრინო.

– ვერაფერი გამიგიაო, – ტუჩების აბზუებითა და მხრების აჩეჩვით აგრძნობინა სიდონიამ. მერე გალიას ჩაუცუცქდა.

ჩიტები დაფრთხნენ, აწრიალდნენ.

– რა და რა ჩიტებია?

– ის ერთი ჩხიკვია, დანარჩენი სამი კი ნარჩიტაა, ნიბლიასაც ეძახიან.

– ბიჭო, ჰყიდი ჩიტებს? – როხროხა ხმით გამოსძახა მთელი ავტობუსის გასაგონად ღიპიანმა.

– არა, – მოკლედ უპასუხა თაყამ.

– კარგად დაფიქრდი, ორმაგ ფასს მოგცემ, იცოდე... შვილიშვილისთვის მინდა, – ღიპიანმა ფულის დასტა ამოიღო. – მოიყვა აქ, მე თვითონ ამოვირჩევ.

– ხომ გითხარით, არა ვყიდიმეთქი! – თაყამ კარისკენ გაიწია, – ჩასასვლელად მოემზადა.

– მაშ, რიღასთვის დაგიჭერია.. აჰა, შენ ოცდაათი ლარი და ერთი ეგ ჭრელი მომე, – არ ეშვებოდა ღიპიანი.

– რით ვერ გაიგეთ, რომ არა ვყიდით, – გაცხარდა სიდონია. – რომც ვყიდდეთ, თქვენ მაინც არ მოგყიდდით!

– მაინც რატომაო?! – გამოაჯავრა ღიპიანმა.

– იმიტომ, რომ... იმიტომ, რომ თქვენ ცოცხლად გადაყლაპავთ... – სიდონიამ ანგარიშმიუცემლად გამოგლიჯა თაყას გალია და საფეხურზე ჩაახტა: ავტობუსში სიცილი ატყდა.

– უყურეთ ერთი ამ უზრდელს! შენ რომ ჩემი შვილი იყო...

სიდონიასა და თაყას ბოლო სიტყვები აღარ გაუგონიათ. სიდონიამ ავტობუსს ხეირიანად გაჩერება არც კი დააცალა, ჩახტა და თაყაც ჩაიყოლა.

– შენ რა აგრესიული ყოფილხარ! – ღიმილით უთხრა ბიჭმა და გალია გამოართვა.

– აგრესიული კი არა. საზიზღარი ვიღაცა იყო...

– შენც ამ გაჩერებაზე უნდა ჩამოსულიყავი?

– არა, მაგრამ ჩამოვედი... მეც მოვდივარ საგურამოში და იმიტომ... უთხრა სიდონიამ და თვითონვე გაუკვირდა თავისი გადაწყვეტილებისა. – თუ, რა თქმა უნდა, შენ არაფერი გაქვს საწინააღმდეგო.

– მერე, მუსიკა?

– რომ დავბრუნდები, თვითონ ვიმეცადინებ.

თაყას ცოტა კი ეხამუშა თითქმის უცნობი თანაკლასელის მოწადინება, მაგრამ გაიფიქრა, კაცმა რომ თქვას, რა უნდა დაშავდესო, და არაფერი უთქვამს.

საგურამოს ავტობუსში ბევრი ხალხი იყო.

– მცხეთამდე ფეხზე დგომა მოგვიწევს, მერე კი დაიცლება, – თითქოს მოიბოდიშაო თაყამ.

– მერე რა! – გაუქარწყლა წუხილი სიდონიამ, – ერთი ეს ვიოლინო მომათავსებინა სადმე და...

– მოიტა, შვილო, აქ სადმე დავდებ კუთხეში, გალიას კიდევ თიკო დაიდგამს მუხლებზე, კიდევაც გაუხარდება. – შესთავაზა წინა სკამზე მჯდომმა ხნიერმა მანდილოსანმა. ყმაწვილებმა ერთი პირი იუარეს, შეწუხდებითო, მაგრამ რაკი ხალხი მატულობდა, ხოლო გალიისა და ვიოლინის ასე ჭერა ველარ ხერხდებოდა, დათანხმდნენ. ავტობუსში ტევა აღარ იყო, მაგრამ ვიდრე ერთმა მგზავრთაგანმა არ შეუყვირა, კაცო, სახურავზეც ხომ არ უნდა დასხა ხალხიო, მძღოლი არ დაძრულა. მგზავრების მიწევ-მოწევაში სიდონია და თაყა ერთმანეთს დაშორდნენ. თაყა ახლა ამხანაგის პროფილსღა ხედავდა. „ლამაზი თმა ჰქონია... – გაიფიქრა ბიჭმა, – ოქროსფერი... არა, ოქროსფერი კი არა, მზისფერი“. სიდონია ოდნავ წინ გადაიხარა და თაყას გახედა. „ნახე, როგორი მაღალი ყოფილა! თითქმის იმ მელოტი კაცის სიმაღლეა... მგონი უფრო მაღალიც კი...“

ილიას სახლ-მუზეუმთან გააჩერებინეს ავტობუსი, თიკოსა და მის ბებიას მადლობა გადაუხადეს და ჩავიდნენ. ზევით მიმავალ გზას აუყვნენ. ექსკურსიის ავტობუსმა გაუსწროთ ხრჩოლვით. მისმა გამონაბოლქვმა ყელი ამოუხახათ.

– ფუ, დაიხრჩობა კაცი! – გაბრაზდა სიდონია. – ილიას ეზოში უნდა გავუშვათ?

– არა... ისე, ეზოშიც კი კარგი ხეებია... მაგრამ ზევით ჯობია, ტყეა, უფრო იქით ხეხილის ბაღებიც არის და პურის ყანებიც. აქედან არ ჩანს, თორემ... ჩხიკვისთვისაც კარგია და ნიბლიებისთვისაც.

- მაშინ, რა თქმა უნდა, იქ ჯობია.

ერთხანს უხმოდ მიდიოდნენ. თაყამ ფეხით კენჭი აათამაშა, მერე ერთბაშად ფეხსაცმლის ჭვინტი გაჰკრა, კენჭი კუნლის ძირში, მტერისაგან განაცრისფერებულ ბალახში გადავარდა. იქ რაღაც დაფრთხა და გასრიალდა. გულგახეთქილმა სიდონიამ უნებურად თაყასკენ გაიწია.

— რა შეგეშინდა... ხელიკი იქნება. — გაიღიმა იმან.

— რა ვიცი, მე ვიფიქრე... უხსენებელი არ იყოს-მეთქი.

— თუნდაც, მერე რა, გადმოხტებოდა და გეცემოდა, თუ რა, — თეთრი კბილები გამოაჩინა თაყამ.

— ოხ! — იწყინა სიდონიამ და გზისპირისკენ გაიწია, მაგრამ ბალახში ისევ გაიფაჩუნა რაღაცამ და ისიც ანგარიშმიუცემლად ისევ თაყასკენ გამოქანდა. ორივეს სიცილი აუტყდა.

ილიას ეზოს ჭიშკართან წელანდელი ავტობუსი ქშინავდა. გადახურებული ძრავისთვის შვების მისაცემად მძღოლს კაპოტი აეხადა და ავტობუსი ახლა გასაფრენად გამზადებულ უზარმაზარ ქერეჭაშლილ ხოჭოს ჰგავდა. მაინცდამაინც ამ ბენზინითა და მხუთრით მქშინავი ურჩხულის ფონზე მოენდომებინათ მზისგან ცხვირებაწითლებულ ტურისტებს სურათის გადაღება. ენაგარეცხილი ექსკურსიამთძღოლი, რომელიც, რაღა თქმა უნდა, შეთავსებით ფოტოგრაფიც იყო, სასურათედ გამზადებულ მოგზაურობის მოყვარულთ შემჭიდროვებას თხოვდა, კადრში ვერ ეტევითო.

სიდონიამ და თაყამ მარცხნივ გადაუხვიეს და ბილიკს დაადგნენ.

— მომე, ვიოლინოსაც მე წამოვიღებ, — შესთავაზა თაყამ. — აქამდე როგორ ვერ მოვიფიქრე, მაპატიე.

— არა, იყოს... თუმცა... მაშინ ჩიტებს მე წამოვიყვან, — სიდონიამ გალია ჩამოართვა, შეჩერდა და გალურსულ ფრინველებს დახედა.

— კარგი, — გაიღიმა თაყამ და ვიოლინოს ბუდე მხარიღლივ გადაიკიდა. „აუჰ, ბიჭო, როგორ დაატარებს ამ სიმძიმეს?!" — გაიფიქრა და მალულად თვალი შეავლო ამხანაგს. „ამ შარვალსა და სვიტერში გვარიშსა ჰგავს", — გაეცინა.

„არაფერი ბაიყუშიც არა ყოფილა"... — გაუღიმა თავის ფიქრს სიდონიამ. — „გოგოებმა აიჩემს, თორემ... ძალიანაც კარგი ბიჭია"...

— მოდი, თუ გინდა, იმ ასკილთან რომ მივალთ, ცოტა მარჯვნივ ავინაცვლოთ, ტყისკენ, და იქ გავუშვათ წიფლნარში, — თაყამ კორდზე ვარდისფრად ამოფრქვეული ბუჩქი დაანახვა.

— შენ როგორც იტყვი, — თავი დაუქნია სიდონიამ. ასკილის ბუჩქთან შეჩერდნენ. იდგა სიდონი ნაირფერი ჟიჟმატი ყვავილებით მოჩითულ მოლზე თვალებმილულული და მთელი არსებით ისუნთქავდა ჰაერს.

— არა მგონია, მებაღისაგან ნასათუთებ რომელიმე ვარდს ჰქონდეს ასეთი სურნელი! რა ვიცი... მე რატომღაც ველური ყვავილები უფრო მიყვარს.

— მეც ტყე-მინდვრის ყვავილები მირჩევნია, უფრო გულწრფელები მგონია, — თვალებით მიეფერა ირგვლივ მოჭიატე ყვავილებს თაყა.

— როგორ გგონია, ასკილსაც ისე გაუხარდა ჩვენი დანახვა, როგორც ჩვენ — მისი?

— აბა რა? ნახე, როგორ გვიღიმის...

— მაშასადამე, ასკილი „ვინ" ჯგუფის არსებითი სახელია, რაკი ადამიანივით იღიმება. გადასახედია გრამატიკა! — გადაიკისკისა სიდონიმ... — და ეს ამბავი ისევ ჩვენ უნდა ვიდოთ თავს, უფრო სწორად შენ, თორემ მე მაინცდამაინც არ მიყვარს გრამატიკა. მესმის, რომ ამით ადამიანის, როგორც ქმნილების, უბადლობასა და განსაკუთრებულობას ესმება ხაზი, მაგრამ აბა, მითხარი, ეს ჩხიკვი რით არ არის განუმეორებელი, მასაც ხომ არა ჰყავს ბადალი? — სიდონი გალიას ჩაუცუცქდა.

— მოდი, რა, სანამ გავუშვებდეთ, ერთი მაინც დამაჭერინე ცოტა ხანს, გთხოვ... ოღონდ ძალიან ფრთხილად, რა...

თაყამ გალიაში ხელი შეჰყო. აფორიაქდნენ ჩიტები, გულგახეთქილები გალიის კედლებს მიაწყდნენ. მეტადრე ჩხიკვი გადაირია, შავი ქოჩორი ყალყზე დაუდგა, ბუმბული მთლად აეშალა და ფრთებში გარეული ცისფერი უკეთესად გამოუჩნდა.

— რა ლამაზია, ნახე! — თვალები გაუფართოვდა სიდონიას. — ნეტავ ზაქარაა თუ ქეთევანი?

— ზაქარაა. ვერა ხედავ, რა ყაჩაღია? — თაყამ სწორედ ჩხიკვი მიიმწყვდია გალიის კუთხეში, ფრთხილად მოიქცია თითებში და სიდონის გაუწოდა.

— ვაიმე, ნელა, რა, ფრთხილად! — ხელები გაასავსავა იმან და უკან წაიღო. მერე გულის კანკალით გამოართვა შეშინებული ფრინველი, საკუთარი უძლურებით გაგულისებულმა ზაქარა ჩხიკვმა ერთი კი სცადა შეფრთხიალება, თავი აქეთ-იქით ატრიალა, მაგრამ რა მიხვდა, რომ მომწყვდეული იყო, აიბუზა და გაყუჩდა, თითქოს ბედს დამორჩილდაო. სიდონის მოეჩვენა, რომ პაწაწკინტელა თვალები სამდურავით აევსო, ანაზდად ჩიტის გამალებული გულისძგერა იგრძნო და შეძრწუნდა. რაღაც საოცარი გრძნობა დაეუფლა — ხელებში სიცოცხლე უფეთქავდა, სხვისი, ციცქნა არსების სიცოცხლე — მეშინია... ჩაიჩურჩულა მხრებაწურვით და თითები გაშალა. ჩხიკვი არ განძრეულა. მერე ერთბაშად მოეგო გონს, შეფრთხიალდა, „ჩხიკო", დაიძახა და ელვის სისწრაფით აფრინდა, სივრცეს შეასკდა, დაიჯერა, რომ თავისუფალი იყო და გალაღებული ზევით-ზევით წავიდა, ირაო შეკრა, მერე გეზი ტყისაკენ აიღო და გაუჩინარდა.

— გაფრინდა თავის ქეთევანთან, — ღიმილი გააყოლა თაყამ.

სიდონი დაბნეული იდგა. ხელები ისევ ისე წინ გაშვერილი ეჭირა.

— დანარჩენები შენ გაუშვი, კარგი? — დაიჩურჩულა და ხელებზე დაიხედა. — ნახე, ზაქარას

ბუმბული დარჩენია, – ხელისგულზე ცისფრად დაჭრელებული პატარა ბუმბული ედო.

– ეტყობა, სახსოვრად დაგიტოვა, როგორც გამათავისუფლებელს...

სიდონის გაეღიმა, ბუმბულს ხელი გადაუსვა და შარვლის ჯიბეში შეინახა.

– ...და თან დაგიბარა, თუ გაგიჭირდეს, ეგ ბუმბული ამოიღე, ჩემი სახელი ახსენე და უმალ შენთან გავჩნდებიო.

– ვნახოთ... ახლა კი წავიდეთ, რა, თორემ ჩვენებს შეეშინდებათ.

– ჰო, რა თქმა უნდა, ეგეც არ იყოს, თუ ბოლო ავტობუსმა გაგვასწრო, მცხეთამდე ფეხით მოგვიწევს...

ავტობუსი უკვე მოსულიყო და მგზავრებს აგროვებდა. უკან დასხდნენ. სიდონი ფანჯარასთან მოკალათდა.

– აუჰ, იცი, როგორ მიყვარს მგზავრობა, ოღონდ უსათუოდ ფანჯარასთან უნდა ვიჯდე, მანქანაშიც, ავტობუსშიც, თვითმფრინავშიც... სხვა დროს მთელი დღით წამოვიდეთ. შინ დავიბარებ და ილიას სახლ-კარიც დავიაროთ, ზედაზენზეც ავიდეთ, კარგი?.. თუმცა, რა ვიცი, იქნებ შენ სულაც არ გინდოდეს ჩემთან ერთად წამოსვლა... ახლაც ხომ ძალით აგეკიდე...

– არა... რატომ? რომ არ მდომოდა, არც წამოგიყოლებდი... – ჩაილაპარაკა თაყამ. – მუსიკის გაცდენისათვის ხომ არ მოგხვდება?

– მამა მივლინებაშია... დედა ცოტას დაიწყებს... კონცერტზე თავი მოგეჭრებაო... ისე კი, როცა მოვუყვები, სად და რისთვის ვიყავი, არაფერს მეტყვის. არც მამა მეტყოდა რამეს...

– იმასაც ხომ გკითხავენ, ვისთან ერთად იყავიო?

– მერე რა, ვერ ვეტყვი, თუ? ხომ ხარ შენ ჩემი თანაკლასელი და ამხანაგი თაყა სარდლიშვილი?

– კი ვარ, აბა არა ვარ? – გაეღიმა თაყას.

– ჰოდა, ჩემებისთვის ეგეც საკმარისია.

– კონცერტი როდისღა გაქვს?

– დღეს რა რიცხვია? 28, ჰო? ოთხ დღეში!

– ღია კონცერტია თუ?...

– კი, ღიაა.

– ესე იგი, ყველას შეუძლია დაესწროს?

– შენ, რა, გინდა, ჩემი თავის მოჭრის მოწმე გახდე?

– ეგრე გამოდის...

სულ ერთი კვირის წინ იყო, მეცხრე „ა“-ს დამრიგებელმა კლასს ახალი მოსწავლე რომ წარუდგინა:

– იცნობდეთ, თქვენი ახალი ამხანაგი თაყა სარდლიშვილი...

– ხოხ! ნამეტანი კარგი, პატივცემულო. მარა მაინც რომელი სარდლის შვილია აი ბიჭი? – წამოიძახა ბოლო მერხიდან თემურ ძიძიგურმა. კლასში აქა-იქ ფხუკუნი გაისმა.

– ეგ რომელი თაყაა, მამული „ისე“ რომ გაყო? – მხარი აუბა ამხანაგს ლაშა დარბაიძემ.

– კარგი, ახლა, კარგი! – ჩააჩუმა თამარ მასწავლებელმა ქილიკის მოყვარულნი. – ეგ უკვე მერე გაარკვიეთ...

ახალ მოსწავლეს ხელები უკან წაეღო და გარეგნულად სავსებით მშვიდად ისმენდა მომავალ თანაკლასელთა ოხუნჯობას, ცდილობდა, არავისთვის შეემჩნევინებინა დაძაბულობა და კიდევაც ახერხებდა ამას.

– აუჰ, ნახე, რა ბაიყუში ვინმეა! – გადაულაპარაკა ამრეზილმა მაიკომ თამთას.

– სამაგიეროდ, შესახედად არის კარგი! შეხედე, როგორი ფიგურა აქვს, ბელმონდოსნაირი! – აათვალიერ-ჩაათვალიერა თამთამ ბიჭი.

– შენც იტყვი, რა! – არ დაეთანხმა მაიკო. – ბელმონდოსნაირი კი არა!..

– უნდა გითხრათ, რომ თაყა ძალზე კარგი ყმაწვილია და, იმედია, მიიღებთ და შეიყვარებთ, – გააგრძელა თამარ მასწავლებელმა.

– მთლად მასე კარგი არ იქნება. მასწ, თორემ როდის იყო, რომელიმე სკოლა ძალზე კარგ ყმაწვილს ელეოდა, – არ ცხრებოდა ძიძიგური.

ბიჭმა არც ახლა შეიმჩნია წყენა, სახის გამომეტყველებაც კი არ შეცვლია, ოღონდ ის იყო, უკან წაღებული ხელები თავისთავად შეეკრა ბრაზიან მუშტებად.

– გეყოთ ახლა, მორჩით, გაიგეთ?! – წყრომით შეუძახა ამხანაგებს სიდონიმ.

ბიჭმა იქით გაიხედა და მოეჩვენა, რომ სადღაც ენახა ეს მაღალი, თხელ-თხელი გოგო, გვერილას არა ჰგავსო? – გაიფიქრა, რაღაცნაირად ერთბაშად მოეხსნა დაძაბულობა, დაძაგრული სხეული მოეშვა, ხელებსაც შვება მიეცა.

– აი, იქ დაჯექი, ჩემო თაყა, მეოთხე მერხზე, გარსევანიშვილის გვერდით. ოსიკო, შენთან დასვი! – მასწავლებელმა ბიჭს მხრებზე ხელი მოხვია და ოდნავ უბიძგა მერხისაკენ. ბიჭი მიჩენილ ადგილზე დაჯდა. გულდაწყვეტილმა ერთი კი გაიფიქრა, ფანჯრის მხარეს ჯობდაო, და მასწავლებელს მიაჩერდა. იმან კიდევ ერთხელ მოავლო კლასს თვალი და ჟურნალი გადაშალა.

– აბა, ძიძიგურო, შენ ლაპარაკის საღერღელი გაქვს, გატყობ, აშლილი და მობრძანდი ერთი, გაკვეთილი გვიამბე.

– არა, რა, მასწ, არა მაქვს ლაპარაკის საღერღელი აშლილი, ხმას აღარ ამოვიღებ, – ინანა თავისი ენაკვიმატობა ძიძიგურმა.

– ესე იგი, გაკვეთილი არ იცი?

– რაღა დაგიმალოთ და, მართალი ბრძანდებით, თამარ მასწ, მაგრამ ვითომ კარგი იქნება, ახალი მოსწავლის თანდასწრებით რომ შევრცხვე? რა შთაბეჭდი-

ლება უნდა შეექმნას ჩემზე და თუნდაც მთელ კლასზე?... თანაც ხომ იცით, პირველი შთაბეჭდილება რამდენს ნიშნავს?

— არ დაიკარგები შენ, ძიძიგურო, ამ ცხოვრებაში — ჩაეცინა მასწავლებელს. — დაჯექი, დაჯექი, ამ ერთხელ მიპატიებია...

თაყას ღიმილმა გადაუარა სახეზე და ძიძიგურს გადახედა. იმან ძმაბიჭურად ჩაუკრა თვალი, რას იზამ, ძმაო, თავი ხომ უნდა დამეძვრინაო.

— ე, ბიჭო, სპორტზე დადიხარ? — ჩურჩულით ჰკითხა გარსევანიშვილმა თაყას.

— არა, ისე, ჩემთვის ვთამაშობ ჩოგბურთს, — ჩურჩულითვე უპასუხა მან.

მათ ჩურჩულზე იყო თუ რა, იმ გოგომ თავი მოაბრუნა.

„იებივით თვალები არ ჰქონია?“ — გაუელვა თაყას.

— იმ გოგოს რა ჰქვია? — გადაუჩურჩულა მეზობელს.

ოსიკომ მასწავლებლის მზერა იგრძნო და ოდნავ დააყოვნა:

— რომელს?

— მეორე მერხზე რომ ზის, ფანჯარასთან.

— პაგანინის? სიდი, უფრო სწორად, სიდონია... იცი, რა მაგარი გოგოა, მაგრამ... იცოდე, არაფერი იფიქრო, თორემ გეგასთან გექნება საქმე... გეგას უყვარს, გეგას გოგოა სიდი... — თავით უჩვენა ოსიკომ გაკვეთილის საპასუხოდ გასულ ჯმუხ ბიჭზე.

— სიდს თუ უყვარს?

— არა მგონია... არა... არ უყვარს.

... ეს რამდენიმე დღის წინ იყო. ახლა კი იისთვალება „გეგას გოგო“ თაყას გვერდით ზის საგურამოდან მომავალ ავტობუსში, ფანჯარაში იყურება და რაღაცაზე ფიქრობს.

სიდონიამ ეტყობა, ბიჭის მზერა იგრძნო, შეიშმუშნა და თავი მოაბრუნა.

— რამე მითხარი? — თმაზე ხელი ჩამოისვა.

— არა, არაფერი... — დანაშაულზე წასწრებულივით დაიბნა თაყა. — მგონი, უკვე შემოვედით თბილისში, არა? შენ სად ჩამოხვალ, ავტოსადგურში?

— ჰო, შენ?

— მეც.

თაყამ ქუჩის კუთხემდე მიაცილა.

— ნუღარ წამომყვები, აქვე ვცხოვრობ, თან არც გვიანია და...

— კი ბატონო, შენ როგორც გინდა.

— წავედი, ნახვამდის... და... გმადლობთ! — მადლობა უკვე შორიდან მოაძახა სიდონიმ და ვიოლინოს ქნევა-ქნევით გაიქცა. თავის ეზოს რომ მიუახლოვდა, შედგა, უკან მოიხედა. თაყა ისევ იქ იდგა. გაეცინა და ეზოში შეირბინა. მის დანახვაზე აკაციის ქვეშ გამართული სკამიდან გეგა წამოხტა, — აუჰ! ახლაღა გაახსენდა სიდონის, კინოში რომ უნდა წასულიყვნენ.

— სად იყავი, სიდ? იცი, რამდენი ხანია გელოდები... თამუნა და მერაბიც იცდიდნენ, მერე ადგნენ და წავიდნენ. ოთხსაათიანზე გვქონდა ბილეთები... ტასიკო დეიდამ გვითხრა. მუსიკაზე წავიდაო, ამდენ ხანს მეცადინეობდი?

— აუჰ, ნახე, აკაცია აყვავებულა! — სიტყვა ბანზე აუგდო სიდონიმ.

ჰო, ვხედავ, — დაბოღმილმა ახედა გეგამ ხეს, — იქიდან სადმე გაიარე?

სიდონი კვლავ მოერიდა პირდაპირ პასუხს.

— არ გეწყინოს, რა, არ მეგონა, თუ ასე დამაგვიანდებოდა... სხვა დროს წავიდეთ კინოში, ჯერ კიდევ იქნება ეგ ფილმი ეკრანებზე, კარგი? ახლა გავიქცევი, თორემ ხომ იცი, დღე-დღეზე კონცერტი მაქვს და... — ორი მოღუნული თითი მიაკაკუნა ვიოლინოს ბუდეზე და სადარბაზოსკენ წავიდა.

— რას იზამ... — გუნებაწამხდარმა გეგამ ერთი კი დახედა გაცუდებულ კინოს ბილეთებს, მერე შუაზე გადახია და შინისაკენ წაბორიალდა.

„მაინც არ მითხრა, სად იყო... ამდენ ხანს მუსიკაზე როგორ იქნებოდა.. თუ ჩვენ გოგოებთან იყო, რატომ დამიმალავდა... უხ, რომ გავიგო, სხვა ბიჭთან დადის... არ ვიცი, რა... ალბათ გავგიჟდები“. ვერ წარმოედგინა, როგორ შეიძლებოდა, სიდონის სხვა ვინმე მოსწონებოდა და, მით უმეტეს, შეჰყვარებოდა. არა, შეუძლებელი იყო. კი ხედავდა, რომ თვითონ სიდონისთვის ისეთივე თანაკლასელი იყო, როგორც სხვა ბიჭები — ლაშა, თემური, ოსიკო, მერაბი, როგორც დანარჩენები, მისთვის კი... მისთვის სიდონის გარდა სხვა გოგო არ არსებობდა, არც კარგი და არც ცუდი.

*(დასასრული შემდეგ ნომერში)*



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ოქრომჭედი



15 წლის მარიამ მოგელაშვილი გორის მე-3 საშუალო სკოლის Xა კლასის მოსწავლეა. მოწესრიგებული და გაწონასწორებული მარიამი ბევრ რამეს ასწრებს – არის სკოლის მხიარულთა და საზრიანთა კლუბის და ნორჩ ლიტერატორთა წრის წევრი. ბევრს კითხულობს და თვითონაც წერს ლექსებს, ნოველებს, ჩანახატებს.

## ვედრება

უფალოო... ღმერთოო...
მე შენ წინაშე
მუხლს მოვიდრეკავ...
სანთელს დავანთებ
და გულით შევთხოვ
მშვიდობას ქვეყნად.
არ არსებობდეს
საქართველოში
შუღლი და მტრობა,
არ იყოს ომი,
ჩემს სამშობლოში,
იყოს მშვიდობა
არ უყურებდეს
ხალხი ერთმანეთს
ბოროტი თვალით
აი, სულ ამას
შევთხოვ წმინდანო
უფალოო, ამინ!



გვანცა ქარდავა ქ. გორის მე-3 საშუალო სკოლის მეცხრეკლასელია. იგი ერთ-ერთი საუკეთესო მოსწავლეა, კარგადაც სწავლობს და სკოლის ცხოვრებაშიც აქტიურად მონაწილეობს. ძალიან უყვარს ლიტერატურა და ბევრს კითხულობს, გარდა ამისა, თვითონაც წერს ლექსებს.

***

შვიდი საოცრების ნახვას ვინატრებდი,
დაკიდულ ბაღში მე ფეხს დავადგამდი,
ზევსის ქანდაკების ნახვას ვისურვებდი,
ფაროსის შუქურას მე ხელს შევახებდი.
როდოსის კოლოსი, ტაძარი ეფესში,
და ის აკლდამა მეფის როდოსის,
შვიდი საოცრება ყველა ერთ ფერში.
ხეოფსის პირამიდა იქ, ეგვიპტეში,
ალმართულია მის შუა ცენტრში,
შვიდი საოცრება ამ ქვეყანაში –
ერთადერთია მთელ სამყაროში.

— — — — — — — — — — — — —

გორის რაიონის სოფელ ხიდისთავის საშუალო სკოლაში ყველას უყვარს მეთერთმეტეკლასელი სოფიკო აბრამიძე. სოფიკო თავაზიანი და ბეჯითი გოგონაა. ყველა საგანს ერთნაირი მონდომებით სწავლობს, მაგრამ უპირატესობას მაინც ჰუმანიტარულ საგნებს ანიჭებს. სიამოვნებით კითხულობს მხატვრულ ლიტერატურას და თვითონაც ცდის კალამს.

## ჩემი მურა
### (ჩანახატი)

საამური დილა იყო, ირგვლივ გაზაფხულის სურნელი ტრიალებდა. მზის სინათლეს ყველაფერი ათასფრად აებრჭყვიალებინა, ირგვლივ ჩიტების ჭიკჭიკი ისმოდა. სახლში ველარ გავჩერდი, დავავლე კოკას ხელი და წყაროსაკენ გავეშურე. ბილიკს რომ მივუყვებოდი, უცბად გულსაკლავი წკმუტუნი შემომესმა. გავყევი იმ გზას, საიდანაც ხმა მოისმოდა. როდესაც იმ ადგილს მივუახლოვდი, დავინახე, რომ უგულო ბავშვებს პატარა ლეკვი დაეჭირათ და აწვალებდნენ. ზოგი წიხლს ურტყავდა, ზოგი ჩქმეტდა, სხვები კი ჯოხებს ურტყავდნენ. პატარა, უსუსური არსების შემყურეს გული სიბრალულით ამევსო, ბავშვებს გავუჯავრდი, გავრეკე და ლეკვს მივხედე. ეგდო მიწაზე და საცოდავად წკმუტუნებდა, ტკივილისაგან ფერდები მთლიანად ჩასცვენოდა. მის ცრემლიან თვალებში ვედრება ამოვიკითხე, თითქოს დახმარებას მთხოვდა. ავიყვანე, გულში ჩავიხუტე, მოვეფერე, ტკივილი დავუამე და სახლში წამოვიყვანე. ერთ თვეს ვუარე, ცივსა და ცხელს არ ვაკლებდი და როგორც იქნა, გამოიხედა ამ ქვეყნისაკენ. სახელად მურა დავარქვი, რადგან კუნაპეტივით შავი იყო. სადაც უნდა წავსულიყავი, ყველგან გვერდს მიმშვენებდა.

ერთ დღეს მე და ჩემი პატარა მეგობარი ჩვეულებისამებრ წავედით წყაროზე. მე იქვე წყაროსთან ჩამოვჯექი და ველოდებოდი, როდის აივსებოდა დოქი. უცბად რაღაც შრიალი შემომესმა. მოვიხედე და დავინახე, რომ ჩემკენ შემზარავი გველი მოსრიალებდა. მურამაც დაინახა, მივარდა. მათ შორის ბრძოლა გაიმართა. შიშისაგან გავშრი, მინდოდა დავხმარებოდი ჩემს მურიას, მაგრამ ვერ ვახერხებდი. ვატყობდი, რომ გველი სჯობნიდა. მაგრამ მურამ მთელი თავისი ძალა მოიკრიბა და მალე ის წყეული გველი განგმირა. მაგრამ საუბედუროდ, მურამ ამოკვნესაც ვერ მოასწრო, რომ ჩემ ფეხებთან დაეცა. საცოდავს დაჯიჯგნული სხეულიდან სისხლი სდიოდა. ერთხელღა შემომხედა თავისი ნაღვლიანი თვალებით და... ერთგულმა მეგობარმა ჩემი გულისათვის თავი გასწირა. ჩემი სიკეთე არ დაივიწყა და თვითონაც სიკეთითვე გადამიხადა.

— — — — — — — — — — — — — —

მაია კოჭლამაზაშვილი
ტინისხიდის საშუალო სკოლა,
X კლასი.

## არ მინდოდა მეთქვა...

არ მინდოდა მეთქვა, მაგრამ
ენა კბილით ვერ დავრაზე,
ერთი უტიფარი ბიჭი
ნერილსა მწერს აი ასეთს:
„ჩემთვის სხვა მზე არ არსებობს,
მხოლოდ შენ ხარ, ერთადერთი,
სილამაზით ბევრს სჯობიხარ,
ჩემო სიყვარულის ღმერთო!"
ბოდიშს ვიხდი, გავამხილე,
არვის დარჩეს საჯავროდა,
ნერილს რომ მწერს ვაჟბატონი,
დამიმტკიცოს საჯაროდა.

# ოქროშხეფი

მეთერთმეტეკლასელი მაკა დოლოზაშვილი თითით საჩვენებელია გორის რაიონის სოფელ ხიდისთავის საშუალო სკოლაში. გარდა იმისა, რომ პირველი კლასიდანვე ფრიადოსანია, მაკა აქტიურად მონაწილეობს მოსწავლეთა რესპუბლიკურ შემოქმედებით კონფერენციებში, მიღებული აქვს დიპლომები. ბუნებით შემოქმედ და მეოცნებე გოგონას ძალიან უყვარს კითხვა. სამომავლოდ მაკას განზრახული აქვს გახდეს საზოგადოების აქტიური წევრი და თავის წვლილი შეიტანოს სამშობლოს წინსვლის საქმეში.

***

## მონატრება
### *(ჩანახატი)*

მატარებელი უზარმაზარ დათოვლილ ნაძვებს შორის მიიკვლევდა გზას. ფანჯარასთან მიყუჟული აღტაცებით გავცქეროდი გარემოს და თავი ზღაპარში მეგონა.

ბორჯომიდან ბაკურიანისკენ მიმავალი პატარა მატარებელი მგზავრებს ძლივს იტევდა. ახალგაზრდების ჟრიამულმა ყურთასმენა წაიღო. გადაჭედილ ვაგონში მოძრაობა კი არა, სუნთქვაც შეუძლებელი გახდა. მკვეთრმა ხმებმა ფანჯარას მომწყვიტეს. ახლაღა შევამჩნიე, რომ ჩემს მოპირდაპირე სკამზე, კუთხეში მოხუცი იჯდა. თმები თოვლივით თეთრი ჰქონდა, უკან ლამაზად გადავარცხნილი. მუხლებს შორის მოქცეულ ჯოხზე დაყრდნობილი მოვლილი ხელები ოდნავ უთრთოდა. დაფიქრებული იყურებოდა ფანჯარაში. რატომღაც სულხან-საბას მივამსგავსე: „ასე ფიქრობდა სულხან-საბა ხელჯოხიანი...“ – გულში გამირბინა ჩემთვის ნაცნობი ლექსის სტრიქონმა.

ჩვენ გასწვრივ ორ სკამზე ახალგაზრდები ისხდნენ: ორი გოგონა და ორი ვაჟი. ისინი ხმამაღლა ლაპარაკობდნენ, იცინოდნენ, ყურადღებას არავის აქცევდნენ. მათმა ხმამ თანდათან გადაფარა მგზავრების ზუზუნი და ხმაური.

მე კვლავ ფანჯარაში ვიყურებოდი. ჩვენი მეზობელი ახალგაზრდები უკვე კარტს თამაშობდნენ. საუბარში ისეთ სიტყვებს ხმარობდნენ, უნებლიედ სიწითლე მერეოდა. მოხუცი რამდენჯერმე შეირხა, ვიფიქრე ახლა წამოდგება და შენიშვნას მისცემს-მეთქი, მაგრამ თავი შეიკავა და მზერა აარიდა. კარტის მოთამაშე წყვილები წაკამათდნენ. კამათმა სერიოზული სახე მიიღო.

– იდიოტი ხარ, ჩემი კარგი... ხედავ ჯვარი არა მყავს და მაგას უშვებ? – გამწარებით უყვიროდა გამხდარი ბიჭი შავგვრემან, შავთვალწარბა გოგონას და გაპარჭყულ ხელებს სახესთან უტრიალებდა.

– იდიოტიც ხარ და უტვინოც. მოკეტე რა, შენთან თამაში არ ღირს, – პასუხობდა სიბრაზისაგან სახეანთებული გოგონა და თვალებს ისე აკვესებდა, მისი სილამაზისაგან არაფერი დარჩენილა.

კამათში დანარჩენი ორიც ჩაერია. ვინ ვის ლანძღავდა, ვეღარ იგებდნენ. ერთმანეთი კარგად რომ შეამკეს, საკუთარი დედების გინებაც მიაყოლეს.

მოხუცი შეტოკდა, ისედაც ფერმკრთალი სახე უფრო გაუფითრდა. ნიკაპი და გამხდარი, გრძელი თითები აუკანკალდა. ჩვენი მზერა ერთმანეთს შეხვდა. მან თითქოს იგრძნო ჩემი თანაგრძნობა, გადმოიხარა და თითქმის ტირილნარევი ხმით შემეკითხა:

– იცი, როდის ავტირდი ვაჟკაცობაში პირველად, ბაბუ? – როდესაც ჩემი უსაყვარლესი დედა მიწას მივაბარე და ვიგრძენი, რომ არასოდეს, არავისთვის ვიქნებოდი ისეთი ძვირფასი, ისეთი ლამაზი და შეუდარებელი, როგორც მისთვის ვიყავი, როცა ვერავინ მომეფერებოდა ისე, როგორც მან იცოდა. არაფერი აღარ გამათბობდა ისე, როგორც მისი ხელებიდან და გულიდან გადმოღვრილი სითბო მათბობდა.

მე სხვისი დედაც მიყვარს, ყველას დედას ვცემ პატივს; ყველაზე მეტად კი ასეთი ულმერთო შვილების დედები მებრალებიან, შვილებისა, რომლებიც ბოროტებს ჰგვანან, ცივი რკინისაგან გაკეთებულ უგულო და უსისხლო ადამიანებს, რომლებსაც არც არაფერი ათბობთ, არც არაფერი აღელვებთ, არც თვითონ შეუძლიათ ვინმეს გათბობა და რაც ყველაზე საშინელია, აღარც სიყვარული შეუძლიათ. უსიყვარულობა ღუპავს ჩვენს საცოდავ ქვეყანას, შვილო! საკუთარი დედის მაგინებელი შვილი ვერავის შეიყვარებს...

კაცი გაჩუმდა. ფანჯრისაკენ შებრუნდა და ბაკურიანამდე ხმა აღარ ამოუღია.

— — — — — — — — — — — — — — —

სოსო ანიაშვილი, *გორის რაიონის სოფელ ტინისხიდის საშუალო სკოლის XI კლასის მოსწავლე*

## საქართველოს

გჯეროდეს ჩემი მართალი სიტყვის,
შენი სიცოცხლით ვცოცხლობ,
მე შენი მიწის ყველა მტკაველი
მინდა, რომ გულით ვლოცო.
კმარა, რაც ტანჯვა გარგუნა ბედმა,
ძმა გაგიხადა მტერად,
ქართველს არასდროს არა სჩვევია
სხვათა ჩაგვრა და რბევა.
ღმერთო, უშველე ჩემს საქართველოს
გადაგვირჩინე იგი,
ქართველი არც სხვას დაემონება,
არც არა უნდა სხვისი.
ვინ მტყუანია და ვინ მართალი,
ყველაზე უკეთ იცი,
ყველას მიუზღე სამაგიერო,
ვინც რისი იყოს ღირსი.

— — — — — — — — — — — — — — —

მაგდა კარიჭაშვილი გორის რაიონის სოფელ ხიდისთავის საშუალო სკოლის მეთერთმეტეკლასელია. მაგდა კარგა ხანია წერს ლექსებს, უყვარს კითხვა. თავაზიანი, მეგობრული და ხალისიანი გოგონა ყოველთვის სიამოვნებით მონაწილეობს სკოლაში მოწყობილ ღონისძიებებში.

***

ქართლის ქედებზე გამოჩნდა ვიღაც:
თმაგაწეწილი, შეშლილი ფიქრით,
შეაღებს ფრთხილად კლდეკარის კარებს
და შიშს დაეძებს ჩამქრალ გუგებში.
ისმის შეშლილი კრძალვით კივილი,
სევდამ დაფარა ქართლის ქედები:
შიში, დუმილი, შეშლილი ქალი
ნაზად შეაღებს კლდეკარის კარებს
და შიშს დაეძებს ჩამქრალ გუგებში.

# რატომ ვამბობთ ასე?

***ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულია.*** გამოთქმა ძველი რომაელი პოეტის იუვენალის მე-10 სატირიდან მომდინარეობს, სადაც ნათქვამია: „უნდა ვილოცოთ, რათა ჭკუა (სული) ჯანსაღი იყოს ჯანსაღ სხეულში“. იხმარება როგორც ფიზიკური და სულიერი ძალების ჰარმონიული განვითარების გამომხატველი ფორმულა. ხშირად ამ გამოთქმას ლათინურად წარმოთქვამენ: „Mens sana in corpore sano“.

***ცოცხალი ლეში.*** ეს სიტყვები უკავშირდება ლევ ტოლსტოის დრამის „ცოცხალი ლეშის“ გმირს ფედია პროტასოვს, რომელმაც თვითმკვლელობა გაითამაშა, ემალება ცოლს და საკუთარი წრის ადამიანებს, საზოგადოების დაბალ ფენებს დაუახლოვდა და საკუთარ თავს „ცოცხალი ლეში“ უწოდა.

***ოქროს შუალედი.*** ასე ამბობენ უკიდურესობას, რისკს მოკლებულ გადაწყვეტილებაზე, საქციელზე. ეს გამონათქვამი რომაელი პოეტის ჰორაციუსის ოდათა მე-2 წიგნიდანაა.

***იკარუსი, იკარუსის გაფრენა.*** იკარუსი – ბერძნულ მითებში უბადლო მექანიკოსის, ხუროთმოძღვრისა და მოქანდაკის დედალის ვაჟიშვილი. მეფე მინოსის დევნისგან თავის დასახსნელად და კუნძულ კრიტოსიდან გასაქცევად დედალოსმა თავისთვის და თავისი შვილისთვის ცვილით შეწებებული ბუმბულის ფრთები დაამზადა. მამის გაფრთხილების მიუხედავად, იკარუსი მეტისმეტად მაღლა აფრინდა, მზეს მიუახლოვდა. მზის სხივებმა ცვილი დაადნო, ფრთები დაიშალა, იკარუსი ზღვაში ჩავარდა და დაიხრჩო.

აქედან მომდინარეობს გამოთქმა „იკარუსის გაფრენა“, რომელიც გაბედული (ზოგჯერ ამაო) საქციელის აღსანიშნავად იხმარება.

***მათი სახელია ლეგიონი.*** გამონათქვამი სახარებიდან. იესოს კითხვაზე: „რა გქვია სახელად?“ უწმინდური სულით შეპყრობილმა კაცმა მიუგო: „ლეგიონი, ვინაიდან მრავალი ეშმაკი შესულიყო მასში“. ლეგიონი ერქვა რომაული არმიის ქვედანაყოფს, რომელშიც ექვსი ათასი მეომარი შედიოდა. სახარებაში ეს სიტყვა გარკვეული რიცხოვნობის კი არა, არამედ უზარმაზარი რაოდენობის აღსანიშნავად იხმარება, და გამოთქმა ხატოვანიც სწორედ ამ მნიშვნელობით გახდა.

***ეძებეთ ქალი*** (ფრ. cherchez la femme). ამ გამოთქმას მაშინ ხმარობენ, როცა უნდა თქვან, რომ რაიმე ამბის, უბედურების, დანაშაულის მიზეზია ქალი, ხატოვანი ეს სიტყვები ალექსანდრე დიუმა-მამის რომანის „პარიზის მოჰიკანების“ გმირის, პოლიციის მოხელის წყალობით გახდა პოპულარული. დიუმამ გამოიყენა გამოთქმა, რომელსაც მართლა ხმარობდა XVIII საუკუნის ფრანგული პოლიციის ცნობილი მოხელე გაბრიელ და სარტინი. თუმცა მისი უფრო ადრინდელი ვარიანტი გვხვდება ძველი რომაელი პოეტის იუვენალის მე-6 სატირაში.



# სიტყვის კონა

**გულანი** – ყველა საღვთისმეტყველო წიგნის კრებული, რომელიც ეკლესიის საჭიროებისათვის შემუშავდა საქართველოში. შიგ თავმოყრილია „ყველა საღვთისმსახურო წიგნი, რომელნიც მორწმუნეთ სჭირიათ და რომელთაც კითხულობენ წლის განმავლობაში“. გულანები უზარმაზარი წიგნებია – სისქითაც და ფორმითაც, ისე, რომ მათი ხელში დაჭერა შეუძლებელია.

**დაუჯდომელი** – „სავედრებელი შესხმა ყოვლად წმიდისა ღვთისმშობლისა“.

**კონდაკი** – წიგნი, რომელშიც მოთავსებულია დიდმარხვის პერიოდის საგალობლები.

**მრავალთავი** – ეწოდება „წმინდათა მარტვილობა-ცხოვრების კრებულს. ასეთი სახელი იმიტომ ჰქვია, რომ იმაში არა ერთი ცხორება და შესხმაა, არამედ მრავალი“.

**ოთხთავი** – იგივეა, რაც სახარება, „ახალი აღთქმის“ წიგნების პირველი ნაწილი. შედგება მათეს, მარკოზის, ლუკასა და იოანეს თხზულებებისაგან. როცა ეს ოთხივე ნაწარმოები ერთ წიგნშია მოქცეული, მათ თავებად მიიჩნევენ და მთელ წიგნს ოთხთავს უწოდებენ.

**გუნდრუკი** – გუნდრუკის ხის სურნელოვანი ზეთი, საკმეველი.

**გოდოლი** – კოშკი

**გარნა** – 1. მხოლოდ; 2. გარეშე, გარდა.

**გულარძნილი** – კლაკნილი, დაღლარჭნილი, მრუდი.

**მეოტი** – გაქცეულ, განდევნილი

**წყრთა** – სიგრძის ზომა იდაყვიდან თითის წვერამდე.

ელექტრონული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნადირთა მეფე ლომი ბუნებაში მხოლოდ ეკვატორის აფრიკისა და აზიის (ჩრდილო-დასავლეთ ინდოეთი) ეროვნულ პარკებშიღა შემორჩა. ლომი მთელ მსოფლიოში დაცულ ცხოველად არის გამოცხადებული, მისი ინდური ქვესახეობა კი შეტანილია ბუნების დაცვის მსოფლიო წითელ წიგნში.

კიდევ უფრო დიდ იშვიათობას წარმოადგენს თეთრი ლომი. სულ მთელ მსოფლიოში დარჩენილია ამ იშვიათი ფერის 50 ცხოველი, ამიტომაც გაიხარეს აგრერიგად გერმანიის საფარი-პარკის თანამშრომლებმა, როდესაც ამ ნაკრძალში ახლახან ორი თეთრი ლომის ლეკვი დაიბადა. განსაკუთრებული მზრუნველობით გარემოცული მეფისწულები თავს მშვენივრად გრძნობენ.

# ცვივა თოვლის ფანტელი...

ეროვნული ბიბლიოთეკა



დაზამთრდება. აცივდება. ჯერ მთაში ჩამოჰყრის თოვლს. მერე ბარშიც გათოვდება და თოვს, თოვს, თოვს. ფარფატებენ, ტრიალებენ ფიფქები, ნელა, მშვიდად, ჩუმად ეშვებიან მიწაზე, სახლებზე, ხეებზე... თუ მოგისწრიათ და მყისიერ დადნობამდე დაკვირვებიხართ ხელზე თუ ტანსაცმელზე დაცემულ ფიფქს, უთუოდ შეამჩნევდით რა უცნაურად ლამაზია იგი, ხოლო თუ მეორე, მესამე ფიფქისთვისაც შეგიდარებიათ, გაკვირვებით შეგინიშნავთ, რომ ისინი სხვადასხვა მოყვანილობისაა, ერთი ვარსკვლავს ჰგავს, მეორე – ფირფიტას, მესამე – ნემსს და ა. შ.

მაინც რა არის ფიფქი, რატომ არის ის ასეთი და არა სხვანაირი, როგორ ჩნდება იგი?

1611 წელს გერმანელმა ასტრონომმა ი. კეპლერმა გამოაქვეყნა თხზულება „საახალწლო საჩუქარი, ანუ ექვსკუთხა თოვლის შესახებ“. თხზულებაში ლაპარაკია ფიფქების მოყვანილობაზე და იქვე დასმულია კითხვა: „რატომ არის თოვლი ექვსკუთხა?“ კეპლერი თვითონვე პასუხობს ამ კითხვას: „ჩემთვის ეს ჯერ უცნობია“. თუმცა მას შემდეგ თითქმის ოთხი საუკუნე გავიდა, სპეციალისტები იძულებული არიან დღესაც გერმანელი ასტრონომის პასუხი გაიმეორონ. სამაგიეროდ, დანამდვილებით არის ცნობილი ის, თუ როგორ წარმოიშობა თოვლის ფიფქები. თავიდან კრისტალიზაციის ბირთვების (უმცირესი უცხო ნაწილაკების) ირგვლივ წარმოიშობა ჩანასახოვანი ყინულის კრისტალები. ზევით-ქვევით გადაადგილებისას ისინი წყლის გაცივებულ წვეთებიან ჰაერის ფენაში ხვდებიან და აქ მომავალი ფიფქები სუბლიმაციის ხარჯზე იწყებენ ინტენსიურ ზრდას, ამასთან ფიფქის ამობურცული მონაკვეთები უფრო სწრაფად იზრდება. ასე ჩნდება პირველდაწყებით ექვსკუთხა ფირფიტისგან ექვსქიმიანი ვარსკვლავი. გზადაგზა გადამეტცივებულ უმცირეს წვეთებს რომ ხვდებიან, ფიფქები ფორმას იცვლიან. ფიფქების შექმნასა და ზრდაზე უამრავი ფაქტორი მოქმედებს და სწორედ ამიტომ არის მათი ამდენი ნაირსახეობა. საუკეთესო კოლექციებში 5 ათასი ერთმანეთისაგან განსხვავებული ფიფქის ფოტოსურათი ინახება, თუმცა სპეციალისტებმაც კი მხოლოდ მიახლოებით იციან, როგორ ასახავენ ფორმა და ზომა ფიფქის სიცოცხლის ისტორიას.

ცნობილია, რომ ფიფქები ჯერ კიდევ ჰაერში განუწყვეტლივ იცვლიან ფორმას. ამინდის პირობების მიხედვით სხვადასხვა ადგილებში „თავთავისი“ თოვლი მოდის. მაგალითად, ბალტიისპირეთში უფრო ხშირად თოვლი დიდი, განტოტვილი ფიფქების, ზოგჯერ კი ხაოიანი ფანტელების სახით მოდის. (ეს ჰაერის მაღალი ტენიანობით არის გამოწვეული). უკიდურეს ჩრდილოეთში კი ისეთი მაგარი თოვლი მოდის, რომ ცულს რომ დაჰკრავენ, ისე წკრიალებს, თითქოს რკინას მოხვდაო. 1944 წლის გაზაფხულზე მოსკოვში 10 სანტიმეტრის განივკვეთის ფანტელები მოვიდა. ციმბირში კი 30 სანტიმეტრის დიამეტრის თოვლიც მოსულა. იაკუტიაში ყინულის ნემსების თოვლს ხშირად „ალმასის მტვერსაც“ უწოდებენ.

ფიფქი ძალზე მსუბუქია, იგი დაახლოებით ერთ მილიგრამს იწონის, იშვიათად კი 2-3 მილიგრამს. დიდთოვლობისას მილიარდობით ფიფქს შეუძლია რამდენიმე საათში ხმელეთის უზარმაზარი სივრცეები დაფაროს ფაფუკი თოვლის საბნით, რომელიც ზოგჯერ იმდენად მძიმე საფარად გადაიქცევა ხოლმე, რომ შეუძლია დედამიწის ტრიალის სიჩქარეზე იმოქმედოს, მაგალითად, აგვისტოში, ყველაზე ნაკლებთოვლიანობის პერიოდში, როდესაც ჩრდილო ნახევარსფეროში ჯერ კიდევ ზაფხულია, სამხრეთში კი ზამთრის მიწურულია, თოვლით პლანეტის მთელი ზედაპირის 9,8 პროცენტი (44:10 კვადრატული კმ. ფართობი) იფარება, ხოლო ასეთი საფარი 840 მილიარდ ტონას იწონის. ზამთრის მიწურულს ჩრდილო ნახევარსფეროში სეზონური თოვლის მასა 13500 მილიარდ ტონას აღწევს. თოვლის საფარის ფართობი კი 05.10 კვადრატული კილომეტრს... მაშ ასე – თოვს, თოვს, თოვს... ხელთათმიანი ხელი შეუშვირეთ და დაიჭირეთ ფიფქი, ოღონდ ცხვირ-პირზე ხელი აიფარეთ, რათა თბილმა სუნთქვამ არ დაადნოს იგი. ახლა კი გულდასმით დააკვირდით ყინულის კრისტალებს. რა? ფიფქი ვარსკვლავს ჰგავს? თუ ფირფიტას? იქნებ სულაც საკინძეს? არ გაგიკვირდეთ, ფიფქების შემსწავლელმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ არსებობს ცხრა ძირითადი სახის თოვლის კრისტალები: ფირფიტა, ვარსკვლავი, სვეტი, ნემსი, ფუმფულა ზღარბი, საკინძე, გაყინული ფიფქი, ხორხოშელა. თითოეული ამ კრისტალთაგანი თავის მხრივ, კიდევ მრავალი სახისაა. მაგალითად, ვარსკვლავი შეიძლება საქმიანიც იყოს და თორმეტქიმიანიც, ზღარბი კი – ფირფიტოვანი, მილისებრი, ვარსკვლავისებრი... სულ კი ფიფქი ორმოცდარვა სახით, ვარიანტითა და კომბინაციით გვევლინება. ერთად შეერთებული ფიფქები კი ფანტელებს ქმნიან, რომლებიც ბამბის ფთილას მოგვაგონებენ.



# დღევანდელობა ბავშვების თვალით



ბავშვთა უფლებების კონვენციის დღისადმი მიძღვნილ გამოფენაზე, რომელიც სახალხო დამცველის ოფისში მოეწყო, კიდევ ერთხელ გაშიშვლდა ის მტკივნეული პრობლემები, რომელთა გადაუჭრელობაც ჩვენი საზოგადოების არასრულყოფილებაზე მეტყველებს.

ჩვენს ბავშვებს სცივათ, შიათ, ჩვენს ბავშვებში სულ უფრო მძლავრობს ნარკომანია, პროსტიტუცია, კრიმინალი, ჩვენს ბავშვებს ნათელს უბინდავს ობლობა, უიმედობა, უპატრონობა. ჩვენზე, უფროსებზე, უფრო მძაფრად უფრო მტკივნეულად ამას თვითონ ბავშვები განიცდიან და როცა ამა თუ იმ სახით, ამის გამოხატვის, გამოთქმის საშუალება ეძლევათ, ისინი დიდი ტკივილით, დაუფარავად, გულწრფელად მოგვითხრობენ საკუთარ ყოფაზე, საფიქრალზე, ტკივილზე, ნატვრასა და სურვილებზე. ამით ისინი ალბათ, უფრო ქვეცნობიერად, ცდილობენ შეგვახსენონ, რომ არ კმარა ცალკეული სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციების ძალისხმევა, პერიოდულად, უფრო თვალის ასახვევად გაწეული ქველმოქმედება, მოჩვენებითი ზრუნვა.

ჩვენ ქვეყნის ხვალინდელი დღე ვართ! ჩვენ, დიახ, ჩვენ უნდა ვუპატრონოთ საქართველოს! ჩვენზეა დამოკიდებული მისი მომავალი და ნუ გამოგვამწყვდევთ ბედის ანაბარა მიტოვებულ ბავშვთა სახლებში, ნუ გაგვწირავთ აგრესიისთვის, დეპრესიისთვის, პროსტიტუციისა და ნარკომანიისთვის, დანაშაულისთვის. მოგვხედეთ, გვიპატრონეთ, ნუ შელახავთ ასე ლამაზად ჩამოყალიბებულ ჩვენს უფლებებს! — ამაზე ღაღადებენ თბილისის მერიის ბავშვის უფლებათა დაცვის საქალაქო ცენტრის მიერ ორგანიზებულ გამოფენაზე წარმოდგენილი ბავშვთა ნამუშევრები.



გამოფენას „ჩემი უფლებები“ ჰქვია. აი, რამდენი რამის უფლება გვქონიაო — შეგვახსენებენ ეს ნახატები და იქვე საგონებელში გვაგდებენ, ამ უფლებათაგან რომელი გვაქვს ჩვენს სამშობლოში უზრუნველყოფილიო.

ვიდრე მთელი საზოგადოება — მისი უქონელი თუ სხვადასხვა გზით გამდიდრებული წევრები არ შეიგნებენ, რომ ყველაფრის მიუხედავად, უპირველესი საყოველთაო საზრუნავი ბავშვები უნდა გახდნენ, ვიდრე ეს საკითხი სახელმწიფოებრივ დონეზე არ გადაწყდება, საშველი არ იქნება.

სხვადასხვა ვნებით, მისწრაფებით თუ ინტერესით შეპყრობილ უფროსებს მარტო სოციალურად დაუცველი ბავშვები კი არ ავიწყდებათ, არამედ სოციალურად უზრუნველყოფილი საკუთარი შვილების ფსიქიკური მდგომარეობაც კი.

როგორც შეუძლიათ, ისე შეგვახსენებენ ქვეყნად არსებული ვითარების გამო უმწეო მდგომარეობაში ჩავარდნილი გოგო-ბიჭები ჩვენს უპირველეს მოვალეობას — ბავშვებზე ზრუნვას კონკრეტული საქმეებით, და არა ფუჭი დაპირებებით და მოჩვენებითი ყურადღებით. ბავშვების, მათი უფლებების დაცვა, მათ სრულფასოვან მოქალაქეებად აღზრდაზე ზრუნვა პრიორიტეტული უნდა გახდეს სახელმწიფოსთვის, ეს კი მხოლოდ საზოგადოების თითოეული წევრის აქტიური ხელშეწყობით არის შესაძლებელი.

ოქროშხერი



*სალომე ჯანელიძე უცხო ენათა გაძლიერებული სწავლების დამოუკიდებელი საშუალო სკოლის მესამეკლასელია. ძალიან უყვარს ბუნება, აინტერესებს ცხოველების, ფრინველების, მწერების ცხოვრება. სალომე ძალიან კარგად ხატავს და ძერწავს. არდადეგებს რაჭაში, ბებიასთან ატარებს ხოლმე და თუმცა სოფელი ერთგვარად მოსაწყენად ეჩვენება, ბუნებასთან დაახლოებას სწორედ სოფელში ახერხებს.*

### შემოდგომის ჩანახატი

შემოდგომაა... მოწყენილი ცოდან
წვიმის წვეთები ნელ-ნელა ცვივა,
უკვე გაფრინდება ზამთრისთვის თივა,
ბაბუა ურმით მინდორში მივა,
სახლებში უკვე საკმაოდ ცივა,
კაშლებიც ხიდან ცვივა და ცვივა,
ველარ ამოვა ზამთარში „ნივა",
ფოთლებიც ხიდან თანდათან ცვივა,
ცივა...

### რაჭა

მიტოვებული, ეული,
მთლად მოროდვევია სხეული,
ზამთარში ორი ქალუკა,
მოხუცებული სნეული –
ასეთი გამახსენდება
რაჭავ, ბავშვობის წლეული

### სადღაც შორს

სადღაც შორს, სადღაც შორს
ისმის ქარის წივილი,
სადღაც შორს, სადღაც შორს
ისმის ძაღლის ცკივილი,
სადღაც შორს, სადღაც შორს
ისმის ყვავის ჩივილი,
და იცავებს... ქარი პანპინინა რცოს –
ქარი ნივის, ნივის ქარი
სადღაც, სადღაც შორს...

---



გიორგი ჩანგაშვილი

*თბილისის II ქართული გიმნაზიის IV კლასის მოსწავლეა. ხალისიან და კეთილ ბიჭს ბევრი მეგობარი ჰყავს. როგორც მისი ნაწერებიდან ჩანს, გიორგის ძალიან უყვარს და აინტერესებს ბუნება, ცხოველები.*

# ტბა

ერთ მაღალ მთაზე ვულკანმა ამოხეთქა. მან დიდი ნაპრალი დატოვა. სწორედ ამ ნაპრალში ადგილი დაიმკვიდრა უმშვენიერესმა ტბამ. მასში ჩაედინებოდა მიწისქვეშა წყლები და პატარა მთის ნაკადულები. თანდათან ეს ტბა იზრდებოდა, ლამაზდებოდა და მასში ბევრი ბინადარი მრავლდებოდა. ტბას უხაროდა ამდენ მეგობრებს რომ იძენდა: თევზებს, კუებს, კიბორჩხალებს, წყალქვეშა მცენარეებს და სხვა. მას გარშემოც არ აკლდა მეგობრები: ხეები, ბალახები, კლდეები, რომლებიც მას იცავდნენ მზისაგან, რომ არ დამშრალიყო. ტბის სანაპიროსთან ხშირად მოდიოდნენ წყლის დასალევად ტყის ცხოველები: ირმები, დათვები, ჯიხვები, მგლები და სხვა. ადამიანებიც არ ივიწყებდნენ ტბას და ნავებით დაცურავდნენ მასში. ასე რომ, ტბას მოსაწყენად არ ეცალა. თვითონაც საჭირო იყო მეგობრებისათვის და მასაც ასაზრდოებდნენ და ართობდნენ ისინი.

ტბაში არაერთი კუ ცხოვრობდა, მაგრამ მე მათ შორის ერთ-ერთის, შესახებ მინდა გიამბოთ. ამ კუს სახელად უწყინარას ეძახდნენ. იგი ტბის მახლობლად მიწაში ჩაფლული კვერცხისგან გამოიჩეკა. მან არც დედა იცოდა და არც მამა. როგორც კი დაიბადა, მაშინვე ტბისაკენ გაუწია გულმა, მაგრამ გზაში ბევრი წინაღობა შეხვდა, ხან ქორი ჩამოუქროლებდა თავისი ძლიერი ბრჭყალებით, ხან აღმართები ხვდებოდა და ზურგზე ტრიალდებოდა, დიდი წვალებით თანდათან იკვლევდა გზას. ბევრი მისი ტოლი ხომ ვერ აღწევს ტბებამდე და ზღვებამდე და ათასობით იღუპება გზაში. მაგრამ ჩვენს უწყინარას ბედი თან დაჰყვა. მართალია, წინააღმდეგობები ხვდებოდა, მაგრამ გზადაგზა მეგობრებსაც იძენდა. აი ასე მაგალითად, მტაცებელი ფრინველებისაგან იამ იხსნა, გადააფარა თავისი დიდი ფოთლები და დამალა.

ტბის სანაპიროზე ტურისტებმა ტბისაკენ მიმავალი პატარა კუ შენიშნეს, რომელიც ზურგზე იყო გადაბრუნებული და ვეღარ ტრიალდებოდა. ტურისტებმა იგი ხელში აიყვანეს და ტბაში გაუშვეს. უწყინარამ ამოისუნთქა, რადგან თავი თავის სამყაროში იგრძნო. ის ამ ტბაში დედისა და მამის გარეშე გაიზარდა, მაგრამ არ გაბოროტებულა, ხასიათი მაინც კეთილი და მხიარული დარჩა.

ადამიანების სიკეთეს არ ივიწყებდა, ის ხომ ადამიანებმა გადაარჩინეს. ამიტომ როცა ტბაში პატარა, ახლახან დაბადებული კუ შენიშნა, დედური მზრუნველობა გაუწია. თითქოს მასში თავის პატარა შვილს ხედავდა. უწყინარა მშობლების მზრუნველობის მოკლებული გაიზარდა და იცოდა, რა მწარე იყო ობლობა. პატარა კუ დიდი სიამოვნებით ატარებდა მასთან მთელ დღეებს. უწყინარა მას საკვებითაც ამარაგებდა, ტბას დღეში რამოდენიმეჯერ წრეს არტყამდნენ ერთად, თამაშობდნენ და მხიარულობდნენ...

# კითხვა - თქვენი

*თურმე მეცნიერებას ნიჟარების შესახებ კონქიოლოგია ჰქვია, თუ შეიძლება გვიამბეთ ამ მეცნიერების და ნიჟარების შესახებ.*

**თეონა მარიამიძე, 14 წლის, თბილისი.**

## საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა დედოფალი

ნამდვილად ასეა — კონქიოლოგია არის მეცნიერება ნიჟარების შესახებ. საფრანგეთში მას მშვენიერს, იაპონიაში საიმპერატოროს, ინგლისში კი საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა დედოფალს უწოდებენ. კონქიოლოგიით გატაცებულები იყვნენ მეფეები, ჰერცოგები, ფილოსოფოსები, ბერები, მისიონერები. დღეს მსოფლიოში ნიჟარების კოლექციონერთა ათასობით კლუბი არსებობს.

ნიჟარების უძველეს კოლექციებს მიაკვლიეს საფრანგეთში, გამოქვაბულებში, სადაც დაახლოებით ორი ათას ხუთასი წლის წინათ პირველყოფილი ადამიანები ცხოვრობდნენ. სპარსული ყაურები — ფულის შემცვლელი ნიჟარები — ჩრდილო თურქეთისა და გერმანიის მიწა-წყალზე ეგვიპტის პირამიდების აგებამდე ბევრად ადრე იყო გავრცელებული. ფინიკიელები, რომლებიც ჩვენს წელთაღრიცხვამდე 1000 წლით ადრე დაცურავდნენ აფრიკის ირგვლივ და ინგლისის სანაპიროებთან, საგულდაგულოდ ინახავდნენ ზღვის ნიჟარებიდან მეწამული ფერის საღებავის მიღების საიდუმლოს. კონქიოლოგიაში ჯერ კიდევ არისტოტელემ შეიტანა თავისი წვლილი, ერთ-ერთ თავის ნაშრომში მან უამრავი მოლუსკი აღწერა.

ძველ რომში კონქიოლოგია პატრიციათა „ჰობი" იყო. საინტერესო კოლექციები ჰქონიათ ცნობილ მხედართმთავრებს სციპიონ აფრიკელსა და კაიუს ლელიუსს. ახალი წ. ა. 77 წელს პლინიუს უფროსმა დაამთავრა თავისი 37



ტომიანი „საბუნებისმეტყველო ისტორია", რომელშიც მოლუსკებს მრავალი გვერდი აქვს დათმობილი. პლინიუსი 79 წელს ვეზუვის ამოფრქვევის დროს დაიღუპა, 17 საუკუნის შემდეგ კი ძველი პომპეის გათხრებისას საუცხოო კონქიოლოგიურ კოლექციას მიაკვლიეს. შესაძლოა ეს სწორედ პლინიუსის მიერ შეგროვებული ნიჟარები იყო.

დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების ეპოქაში ნიჟარებისადმი ინტერესი კიდევ უფრო გაცხოველდა. კოლუმბის, მაგელანის, დიაცის მიერ სამშობლოში ჩამოტანილ იშვიათობებს შორის მრავალი ეგზოტიკური ნიჟარაც იყო. დიდებული კოლექცია ჰქონდა კაპიტან ჯეიმს კუკს. ამ კოლექციის რამდენიმე ნიჟარა დღესაც ბრიტანეთის მუზეუმის კონქიოლოგიური განყოფილების სიამაყეს წარმოადგენს.

ყველა კონქიოლოგის ოცნებაა ნიჟარა „ზღვების დიდების" მოპოვება. ეს ულამაზესი ნატიფი ნიჟარა დაახლოებით 5 დიუმის სიგრძისაა. სულ „ზღვების დიდების" მხოლოდ რამდენიმე ეგზემპლარია ცნობილი, ისინი ახალი გვინეიდან და ფილიპინებიდანაა ჩამოტანილი. 1963 წელს საერთაშორისო გამოფენაზე ერთი ასეთი ნიჟარა 2000 დოლარად გაიყიდა, ხოლო ე. წ. ხალებიანი ყაური 1000 დოლარად. დიდად ფასობს სხვა ნიჟარებიც, მაგალითად, ოქროს ყაური ფიჯის კუნძულიდან.

თუმცა კონქიოლოგია კარგა ხანს მხოლოდ მოყვარულთა მეცნიერება იყო, იგი მჭიდროდ არის დაკავშირებული მედიცინასთან, ოკეანოლოგიასთან და ცოდნის სხვა დარგებთან.

ექიმებს მრავალი ეგვიპტელის, ვესტ-ინდოეთისა და აზიის ზოგიერთი ქვეყნის მცხოვრების სიცოცხლე გადაურჩენიათ იმის წყალობით, რომ შესწავლილი ჰქონდათ სასიკვდილო დაავადებათა გამავრცელებელი მტკნარი წყლების რამდენიმე სახეობის ლოკოკინები. კონქიოლოგები წარმატებით ებრძვიან გიგანტურ აფრიკულ ლოკოკინას, რომელიც კაუჩუკის პლანტაციებსა და ბოსტნეულის ნათესებს ანადგურებს. უაღრესად მავნებელი მოლუსკები არა ერთხელ გამხდარან ხისგან ნაგები ხომალდების დაღუპვის მიზეზი.

მეორე მხრივ, მოლუსკებს სარგებლობის მოტანაც შეუძლიათ. მაგალითად, კალიფორნიული მოლუსკი „ზღვის ყური" კლავს პენიცილინისადმი მედეგ სტრეპტოკოკებსა და ბაქტერიებს, ამსუბუქებს პოლიომიელიტის მიმდინარეობას.

# პასუხი - ჩვენი

# ტესტი

## იუმორის საქმე როგორა გაქვთ?

იმის დასადგენად, გაგაჩნია თუ არა იუმორის გრძნობა, უპასუხე შემოთავაზებული ტესტის თერთმეტ კითხვას. დასაშვებია მხოლოდ ორგვარი პასუხი — „დიახ" ან „არა".

1. გიყვარს თუ არა წვნიან კერძში წიწაკის ჩაყრა, კატლეტის მდოგვში ან ტყემალში ჩაწობა?

2. როცა შენს კომპანიაში ხარ, გიჩნდება ხოლმე ისეთი აზრი, რომ ეს სულელების თავყრილობაა?

3. სიხარულისაგან ჭერამდე თუ შემხტარხარ?

4. შეგიძლია თუ არა ისე იმასხარაო, რომ მეგობრებს მოეწონო?

5. ხშირად გისკდება ხოლმე ტკივილისაგან თავი?

6. ზოგჯერ მაინც თუ გავიწყდება ხოლმე კბილების გახეხვა?

7. ყოველთვის ერთნაირი ვარცხნილობა გაქვს?

8. კროსვორდის შევსება თუ გიყვარს?

9. ვარჯიშობ თუ არა დილაობით?

10. ხშირად ხარ ხოლმე მოწყენილი?

11. გიყვარს სიჩუმეში მარტო ყოფნა?



მაშ ასე: შენ ყველა კითხვას გაეცი პასუხი, ახლა ამ ცხრილის მიხედვით დაადგინე, რამდენი ქულა უნდა მიეწეროს თითოეულ მათგანს.

კითხვის N1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11; ქულების რაოდენობა 3, 1, 4, 3, 1, 4, 3, 1, 3, 1, 4; თუ პასუხია „დიახ".

ქულების რაოდენობა 2, 2, 2, 2, 2, 1, 1, 4, 1, 4, 1. თუ პასუხია „არა".

ახლა ქულების საერთო ჯამი გამოთვალე.

თუ 20 ქულაზე ნაკლები დაგიგროვდა, ეს იმას ნიშნავს, რომ იუმორის გრძნობას მოკლებულ, მოსაწყენ ადამიანად გთვლიან. თუმცა შეიძლება, შენ უბრალოდ, ადვილად საურთიერთობო არა ხარ, სამაგიეროდ, ჭკუა არ გაკლია. დროდადრო სურვილი გიჩნდება მახვილსიტყვაობა გამოიჩინო და თუ გახუმრებას გადაწყვეტ, გაქვავებული სახით გააკეთე ეს. მაშინ წარმატება უზრუნველყოფილი გექნება.

თუ 21-25 ქულა დააგროვე, საკმაოდ მცინარა ადამიანი ყოფილხარ და ალბათ გაკვეთილზე თითის დანახვეზეც კი სიცილი გიტყდება. ნებისმიერი წვრილმანის გამო გეცვლება განწყობილება, თუმცა შეგიძლია ეს თვისება შენ სასარგებლოდ გამოიყენო. როცა რამე სასაცილოს ჰყვები ან უსმენ, პირველმა დაიწყე ხარხარი, მაგრამ სცადე შეწყვეტითაც პირველმა შენ შეწყვიტო სიცილი და უეცრად მიიღო სერიოზული გამომეტყველება. სცადე და ნახავ, რომ ხუმრობის ეფექტი გაორკეცდება.

თუ 25-ზე მეტი ქულა დააგროვე, ეს იმას ნიშნავს, რომ კომპანიის სული და გული ყოფილხარ, ანეკდოტები და სასაცილო ამბები არ გელევა, შენი ხუმრობები ყოველთვის მოსწონთ, მაგრამ მეტისმეტი არ მოგივიდეს, თავს ნუ შეაწყენ შენი ანგლობით, სხვებსაც დააცადე.

სპორტი

# თამაში ოვალური ბურთით

სპორტი

რაგბი სპორტის ერთადერთი სახეობაა, რომელიც ქალაქის სახელს ატარებს. მისი დაბადების თარიღად 1823 წლის 7 აპრილი ითვლება. ამ დღეს ქალაქ რაგბის (იგი ლონდონიდან 200 მილის დაცილებით მდებარეობს) კოლეჯის მოსწავლემ უილიამ ვებ ელისმა დაარღვია ბურთით თამაშის წესები და ამით სათავე დაუდო სპორტის ახალ სახეობას. რაგბის მოყვარულები ხშირად ამბობენ: „ნამდვილი რაგბისტი რომ გახდე, უნდა დარბოდე ავაზასავით სწრაფად, უნდა იყო დათვივით ღონიერი, კვერნასავით მოქნილი და მელასავით ცბიერი".



რაგბის ორიგინალობა და სილამაზე კოლექტიურ ძალისმიერ ურთიერთსაწინააღმდეგო მოქმედებაშია. რაგბი ფაქტობრივად სპორტის რამდენიმე სახეობის სინთეზია: მხოლოდ აქ შეიძლება ითამაშო ხელითაც და ფეხითაც, მხოლოდ აქ შეიძლება იხილო კალათბურთელის ფინტები და ხელბურთისათვის დამახასიათებელი გადაცემები, სპრინტერული და სტაიერული რბენა, კარში ფეხბურთისებური დარტყმები, მოჭიდავის ილეთები...

ძნელია დაასახელო სპორტის სხვა რომელიმე სახეობა, ესოდენ ეფექტურად რომ უწყობდეს ხელს სპორტსმენის მრავალმხრივ განვითარებას. ურთიერთმხარდაჭერა, თანადგომა, გატანა, ჯენტლმენობა, არტისტიზმი, სიფაქიზე, ვაჟკაცობა, – აი, რა არის რაგბი! ყოველივე ეს ამ თამაშის ხასიათიდან გამომდინარეობს.

რაგბი უფრო და უფრო პოპულარული ხდება მთელ ჩვენს პლანეტაზე. ზოგს რაგბი უხეში თამაში ჰგონია, მაგრამ, თქვენ წარმოიდგინეთ, ფეხბურთში, მაგალითად, უფრო ხშირია ტრავმები, ვიდრე რაგბიში. ეს მრავალგზის შემოწმებული და დამტკიცებული ფაქტი გახლავთ.

### მინი-რაგბი

არსებობს რაგბის ნაირსახეობები: რაგბი-5 და მინი-რაგბი.

მინი-რაგბიში შეიძლება იყოს 5,7 და 9 მოთამაშე, რაგბის ეს ფორმა კარგი საწვრთნელი საშუალებაა რაგბისტებისათვის, ამასთანავე იგი რაგბის ცალკე სახეობადაც ითვლება – მოზრდილებს შორის ტარდება ოფიციალური შეჯიბრებები, ტურნირები. მინი-რაგბის მატჩებზე ინგლისსა და საფრანგეთში ზოგჯერ 70-90 ათასამდე მაყურებელი იყრის თავს.

რუმინეთის, საფრანგეთის, ინგლისისა და ბევრი სხვა ქვეყნის სკოლებში, სპორტსკოლებსა და სპორტულ კლუბებში მრავლადაა მინი-რაგბის სექციები. ამ ქვეყნებში რაგბი უფროსკლასელ მოსწავლეთა სასკოლო პროგრამებშია შეტანილი.

რაგბის სექციებში 8-10 წლის ბიჭებს იღებენ. პირველი 4-5 წლის მანძილზე ისინი თამაშის ტექნიკას ეუფლებიან, 13-15 წლის ასაკში იწყებენ გამოსვლას მინი-რაგბის შეჯიბრებებში, 16-17 წლისანი კი რაგბი-5-ში გადადიან.

### სათამაშო მოედანი

რაგბი-5-ისათვის სათამაშოდ გამოიყენება ხელბურთისა და კალათბურთის მოედნები, რაგბი-7-სათვის კი – ფეხბურთის მოედანი (ჩათვლის მოედნების გარეშე). რაგბი 7-ის თამაშებზე ინიშნება 1 მსაჯი. ფეხბურთის მინდორზე შეიძლება ერთდროულად ჩატარდეს 2 თამაში (მოედნის სიგანეზე).

### მოთამაშეთა რაოდენობა

რაგბი-5-ის თამაშისას გუნდში 5 წევრი და ამდენივე სათადარიგო მოთამაშეა, რაგბი-7-სას – 7 მოთამაშე და 4 სათადარიგო. მოთამაშეები შეიძლება შეიცვალონ ყოველი შესვენების შემდეგ.

### ფორმა

რაგბი-5 შეიძლება ითამაშოთ ფიზკულტურის გაკვეთილზე სახმარი სპორტული ფორმით. რაგბი-7-ის დროს ყველა მოთამაშეს უნდა ჰქონდეს ერთნაირი ფორმა (მაისური, გეტრი, შორტი, კედები...).

## თამაშის ხანგრძლივობა

რაგბი-5 მოიცავს ორ 10-10 წუთიან ტაიმს 5-წუთიანი შესვენებით, რაგბი-7 ორ 15-15 წუთიან ტაიმს 10 წუთიანი შესვენებით.

## თამაშის დაწყება

თამაში იწყება ცენტრიდან ბურთზე ფეხის დარტყმით.

დარტყმის დროს დამრტყმელის პარტნიორებმა უნდა დაიკავონ პოზიცია ბურთისა და პარტნიორის უკან. მოწინააღმდეგეები ამ დროს ერთმანეთისაგან დაცილებულნი უნდა იყვნენ შემდეგი მანძილით: რაგბი-5-ის დროს – არა უმცირეს 3 მეტრისა, რაგბი-7-ის დროს – არა უმცირეს 10 მეტრისა.

## შერკინება

შერკინება ინიშნება: როცა დაკარგულია კონტროლი ბურთზე: წინ თამაშის დროს; ბურთის მფლობელი მოთამაშის ბლოკირების დროს; როცა შეუძლებელია თამაშის გაგრძელება; საკუთარი ჩათვლის მოედანზე ბურთის „დამიწების" შემდეგ; შერკინებიდან ბურთის არასწორი გამოსვლის (გვერდიდან) შემდეგ.



## შერკინების შემადგენლობა

რაგბი-5-ის დროს შერკინებაში მონაწილეობს 2 მოთამაშე, რაგბი-7-ისას – 3, როდესაც 2 მოთამაშე დგას პირველ ხაზზე, მესამე ქმნის მეორე ხაზს.

შერკინება ინიშნება მოედნის გვერდითი ხაზიდან არანაკლებ 10 მეტრის და ჩათვლის მოედნიდან – არანაკლებ 5 მეტრის დაშორებით.

## წინა თამაში

წინა თამაში ითვლება მაშინ, როცა ბურთი აისხლიტება მოთამაშისგან და დაეცემა მოპირდაპირის მხარეს.

ამ დროს ინიშნება შერკინება დარღვევის ადგილას.

## თამაშგარე

ნებისმიერი მოთამაშე, რომელიც იმყოფება ბურთის მფლობელი მოთამაშის წინ ან აკრძალულ ზონაში, ითვლება თამაშგარე მდგომარეობაში.

ამ დროს თამაში ჩერდება და ბურთი გადაეცემა მოწინააღმდეგეს ჯარიმის შესრულებისათვის.

## წინ გადაცემა

წინ გადაცემად ითვლება მდგომარეობა, როცა ბურთი გადაეცემა თანაგუნდელს, რომელიც იმყოფება გადაცემის წინ, მოწინააღმდეგის ჩათვლის მოედნისაკენ. ამ დროს ინიშნება შერკინება.

## აკრძალულია:

უბურთო მოთამაშის შეჩერება; მსაჯთან კამათი; უხეშობა; აკრძალული ილეთების გამოყენება; ფეხის დადება და სხვა.

## თამაშის ტექნიკა

რაგბის თამაშის მიზანია შეიტანო ბურთი მოწინააღმდეგის მოედნის „ქალაქში" და დადო ძირს, „დაამიწო". დაშვებულია ბურთიანი მოთამაშის შეჩერება, შებოჭვა ორივე ხელით. ტექნიკური ილეთებიდან აღსანიშნავია ბურთის თავისებური გადაცემა – პასი, რომლის გარეშეც რაგბი დაკარგავდა სილამაზესა და კოლექტიურ ხასიათს; მინი-რაგბიში ჩართულია ბურთით რბენა, გადაცემა, შებოჭვა, შებოჭვის მოცილება, ცრუ მოძრაობები და სხვა.

მინი-რაგბიში დიდი რაგბის ყველა ელემენტი უნდა იცოდე, რადგან ყველა მოთამაშე მონაწილეობს თავდასხმაშიც და დაცვაშიც.

რადგან რაგბიში სიტუაციები ძალზე სწრაფად იცვლება, მოთამაშეს უნდა შეეძლოს ბურთის სწრაფად დაუფლება და სწრაფად გადაცემა.

რაგბის ტექნიკური ელემენტების შესწავლა შეიძლება სკოლაში ფიზკულტურის გაკვეთილზე. 11-12 წლის ბიჭებს თავისუფლად შეიძლება ვასწავლოთ მიბნი რაგბის ელემენტები სპორტულ დარბაზში, რადგან რაგბის ეს სახეობა არ მოითხოვს საგანგებო ბაზას.

*სპორტის ოსტატი*
გაბრიელ ბარჯაძე

# რამდენიმე შეკითხვა გიორგის, ნინოს და მათ მეგობრებს

***ალბათ, მომავალი 2002 წლისათვის რაღაც მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები მიიღეთ, გეგმები დასახეთ. თუ გსურთ , გაიგოთ შეძლებთ თუ არა მათ შესრულებას, ჩვენი ანკეტა უნდა შეავსოთ.***

**რომელია თქვენი ზოდიაქოს ნიშანი?**

1. თევზები, სასწორი, მშვილდოსანი
2. მარჩბივი, კირჩხიბი, ლომი
3. კურო, ტყუპები, მერწყული
4. ქალწული, ღრიანკალი, თხის რქა.

*თქვენი ნომერი (1,2,3,4) მარჯვნივ მოცემულ კვადრატში ჩაწერეთ, იგივე გააკეთეთ მომდევნო პასუხების დროსაც.* ☐

**როგორ ინახავთ თქვენს კომპაქტ-დისკებს და კასეტებს?**

1. ისინი მთელ ოთახშია მიყრილ-მოყრილი
2. საწოლის ქვეშ.
3. უჯრაში ან თაროზე. ☐
4. კოხტად მაქვს დაწყობილი ანბანის მიხედვით

**შეასრულეთ თუ არა გადაწყვეტილებები, რომლებიც 2001 წლისათვის დაისახეთ?**

1. არა, იმიტომ რომ არანაირი გადაწყვეტილება არ მიმიღია
2. არ მახსოვს.
3. ზოგი კი, მაგრამ ყველა არა. ☐
4. დიახ, ყველა გადაწყვეტილება შევასრულე

**სკოლაში იგვიანებთ ხოლმე?**

1. დიახ, თითქმის ყოველთვის.
2. ღღეგამოშვებით.
3. ძალიან იშვიათად. ☐
4. არასდროს.

**რა ვითარებაა ხოლმე დილაობით თქვენს სახლში?**

1. საგიჟეთი გეგონება– არაფერი მზად არ არის და ყველა ფორიაქობს.
2. ზოგჯერ ყველაფერი წესრიგშია, ზოგჯერ კი სრული არეულობაა. ☐
3. თავიდან ყველა ზოზინობს, დიდხანს ემზადება, მერე კი ყველაფერი გეგმის მიხედვით მიდის.
4. ყველაფერი საათივით არის აწყობილი.

**თქვენს საუკეთესო მეგობრებს დაჰპირდით, რომ საშინაო დავალების მომზადებაში დაეხმარებით. მაგრამ საღამოზე დაგპატიჟეს. როგორ მოიქცევით?**

1. ისე მოიქცევით, თითქოს დანაპირები არ გახსენებიათ.
2. საღამოზე წახვალთ. ☐
3. მეგობრებს დაურეკავთ და ეტყვით, რომ ავად გახდით, თვითონ კი საღამოზე წახვალთ.
4. თქვენს დაპირებას შეასრულებთ და მეგობრებს საშინაო დავალების მომზადებაში დაეხმარებით.

**რომელი მუსიკალური ჯგუფი უფრო მოგწონთ?**

1. „ოაზისი"
2. „ქუჩის ბიჭები"
3. „თეიქ ზეთ"
4. „ფლეში"

**ერთ-ერთ ლიტერატურულ გმირად გახდომა რომ შემოგთავაზებინათ, რომელს აირჩევდით?**

1. ტომ სოიერს.
2. დათა თუთაშხიას.
3. დევიდ კოპერფილდს.
4. დონ-კიხოტს

**როდისმე თუ მოქცეულხართ შემდეგნაირად:**

1. რაიმე მუსიკალურ საკრავზე დაკვრის სწავლა დაიწყეთ, მერე მიატოვეთ.
2. თქვენი ოთახის დალაგება დაიწყეთ და მიატოვეთ.
3. წიგნის ერთი თავი წაიკითხეთ, მერე კი თავი დაანებეთ. ☐
4. მეგობრის დაბადების დღე კი გახსოვთ, მაგრამ გეზარებათ და არც მისალოც ბარათს უგზავნით და არც ტელეფონით ულოცავთ.
5. მიცემული სიტყვა თუ დაგირღვევიათ?

*კვადრატში ჩაწერეთ „დიახ" ან „არა".* ☐

***ახლა კი იანგარიშეთ:***

შეკრიბეთ კვადრატში ჩაწერილი ყველა ციფრი. ბოლო მონაკვეთამდე რომ მიხვალთ, ყოველ „არა"-ში თითო პუნქტი ჩაითვალეთ („დიახ"-ს ყურადღებას ნუ მიაქცევთ) და ადრე მიღებულ ჯამს მიუმატეთ. მერე კი შეამოწმეთ ქვემოთ მოცემული შედეგების მიხედვით.

**20 და ნაკლები ქულა**

მიღებული გადაწყვეტილებების შესრულების არანაირი შანსი არა გაქვთ.

**21-30**

თქვენ სერიოზულად ფიქრობთ თქვენს გადაწყვეტილებებზე, მაგრამ ერთია ფიქრი, მეორე კი შესრულება. უბედურება ის არის, რომ ძალიან გულმავიწყი ბრძანდებით. და თუ მაინც მიიღეთ რაიმე გადაწყვეტილებები, ძალიან მალე გივარდებათ თავიდან.

**31-40**

ორგანიზებული ადამიანი ნამდვილად არ გეთქმით, მაგრამ ნამდვილად ცდილობთ. 2002 წელს სიმტკიცეს გამოიჩენთ და ყველაფერი გამოგივათ. გულს ნუ გაიტეხთ, თუ ეს იმაზე ძნელი აღმოჩნდება, ვიდრე ელოდით.

**40-ზე მეტი**

ნუთუ ასეც ხდება?

თქვენ მეტისმეტად კარგი ვინმე ბრძანდებით. ორგანიზებული ხართ და გეგმების დაწყობაც გეხერხებათ. აი რატომ გაამზადეთ გადაწყვეტილებების ნუსხა 2002 წლისათვის. ზოგი მათგანი საკმაოდ რთულია, მაგრამ თქვენ მათ შეასრულებთ,ნაღდად!

# სიცილის გაკვეთილი

— მასწ, თქვენ ჩემი საშინაო დავალება კი შეამოწმეთ, მაგრამ ვერ გავარჩიე ქვეშ რა დაგიწერიათ!

— რა ვერ გაარჩიე, მე დაგიწერე: „გარკვევით წერე!"

☺ ☺ ☺

მასწავლებელი:

— ჯეკ, ვინ დაგეხმარა ამ რუკის დახატვაში?

ჯეკი:

— არავინ, სერ.

მასწავლებელი:

— დავიჯერო, შენი ძმა არ გეხმარებოდა?

ჯეკი:

— არა, სერ. ჩემი ძმა მარტო ხატავდა.

☺ ☺ ☺

მასწავლებელი: — რატომ მგზავრობენ ადამიანები უდაბნოში აქლემებზე ამხედრებულები?

მოსწავლე: — იმიტომ რომ ფეხსაცმელებში ქვიშა არ ჩაეყაროთ.

☺ ☺ ☺

— რა იცით ამონიაკის შესახებ? — ჰკითხა პროფესორმა სტუდენტს.

— ცრემლის დენას იწვევს, ბატონო პროფესორო.

— ისევე, როგორც თქვენი პასუხი! — გაეღიმა პროფესორს.

☺ ☺ ☺

— ვის ოჯახს მიეკუთვნება კატა?

— პატრონის ოჯახს.



☺ ☺ ☺

პატარა მარენკა სასეირნოდ იყო გარეთ. უცებ დედამისმა დაინახა, რომ მარენკა ძროხასთან მისულა და შოკოლადს აჭმევს.

— რას აკეთებ? — გაუჯავრდა დედა შვილს.

— არაფერს, დედიკო, ძროხას შოკოლადს ვაჭმევ, ხვალ რომ კაკაო მოიწველოს...

☺ ☺ ☺

მასწავლებელი: — პეპიჩეკ, მიპასუხე კითხვაზე: გალიაში არის სამი მგელი და ამდენივე ცხვარი, სულ რამდენი ცხოველია გალიაში?

პეპიჩეკი: — სამი გამძღარი მგელი, პატივცემულო მასწავლებელო!

☺ ☺ ☺

— ჭექა-ქუხილის დროს კატას ბეწვი რომ აუბურძგნო, რა გეცემა თვალებში?..

— კატა, ბატონო მასწავლებელო.

☺ ☺ ☺

მამამ შვილი ზოოპარკში წაიყვანა. ვეფხვის გალიასთან ფირნიში ეკიდა წარწერით: „ფრთხილად, შეღებილია!"

გოგონამ დიდხანს უყურა ვეფხვს და იმედგაცრუებულმა თქვა:

— მე კი მეგონა, ზოლები ნამდვილი იყო.

☺ ☺ ☺

მასწავლებელი შეეკითხა მოსწავლეს:

— მითხარი ისეთი წინადადება, სადაც იქნება სიტყვა „კვერცხი".

— მე მიყვარს ნამცხვარი, — უპასუხა გოგონამ.

— კი მაგრამ, სად არის ამ წინადადებაში სიტყვა „კვერცხი"?

— ნამცხვარში, პატივცემულო მასწავლებელო.

☺ ☺ ☺

— ტოტო! როგორ გამოიცნობ, ქათამი ახალგაზრდაა თუ ბებერი?

— კბილებით, ბატონო.

— მაგრამ ქათამს რომ კბილები არა აქვს?!

— სამაგიეროდ ისინი მე მაქვს, ბატონო!

# დეტექტიური თავსატეხი



## შემთხვევა ბენზინის ჩასასხმელ სადგურში

ერთხელ ძია ალბერტი, რომელიც დიდი ხანი იყო რაც ცნობილი კომპანიის წარმომადგენლად მუშაობდა, მივლინებაში გაემგზავრა და თავისი ძმისწული გარიც თან წაიყვანა. ისინი ლონდონიდან უელსში უნდა ჩასულიყვნენ. მგზავრობა სასიამოვნო იყო, თუმცა მთელი დილა წვიმდა. თერთმეტი საათის შემდეგ გამოიდარა. შუადღე იქნებოდა, როცა მოულოდნელად მანქანის ძრავას ცემინება აუტყდა.

—ეტყობა, ბენზინი გაგვითავდა,— დაასკვნა ძია ალბერტმა,—თუ ერთ-ორ მილში ჩასასხმელი სადგური არ შეგვხვდა, გზაში დავრჩებით.

მაგრამ ბიძა-ძმისწულს ბედმა გაუღიმა. ჰორიზონტზე ავტომანქანების გასამართი სადგური გამოჩნდა. ძია ალბეტრმა სადგურთან დაამუხრუჭა და საყვირი მისცა. ბენზინის ჩამომსხმელი გამოვიდა, გზადაგზა ხალათს იკრავდა.

—გეთაყვა, მთელი ავზი ჩაგვისხით,— სთხოვა ძია ალბერტმა.

ჩამომსხმელმა შლანგი აიღო და ბენზინის ავზის სახურავის ძებნაში მანქანის ფრთას დააცქერდა.

—ეს „ფორდია",—შეახსენა ძია ალბერტმა—ნომრის ნიშანი დაბლა დასწიეთ და სახურავსაც დაინახავთ.

—დიდებული ჩამომსხმელია, ვერაფერს იტყვი,—ჩაილაპარაკა გარიმ,—ისიც კი არ იცის ბენზინის ავზის სახურავი სად ეძებოს.

—შეიძლება, პატრონს ლენჩი აქვს და ახალგაზრდა სცვლის მას,— ვარაუდი გამოთქვა ძიამ.

—აქ თქვენ მარტო ხართ?-მიმართა მან ჩამომსხმელს.

იმან თავი დაუქნია, ისე რომ ბენზინის სვეტის ტაბლოზე აცეკვებული ციფრებისთვის თვალი არ მოუცილებია.გარის ჩამომსხმელი სადგურის შიგნიდან რაღაც ხმაური შემოესმა და ძიას მიაჩერდა, რომელიც ამ დროს ჩამომსხმელს მოუბრუნდა.

—თუ შეიძლება ზეთი შეამოწმეთ.

ჩამომსხმელმა შლანგი ჩამოჰკიდა და სადგურის შენობაში გაუჩინარდა. გარი ამ დროს შენობის ჩრდილში იდგა. გავიდა რამდენიმე წუთი, ჩამომსხმელი კი არ ჩანდა, გარი შენობის გვერდით კედელზე ჩამოკიდებული გრიფელის დაფას მიუახლოვდა. დაფაზე ცარცით გარკვევით ეწერა:„ბრაუნთან დარეკვა".

როგორც იქნა ჩამომსხმელი გამოვიდა. ხელში ჩვარი და ზეთის კანისტრა ეჭირა. ძია ალბერტმა



უჩვენა, სად იყო ჩასასხმელი ყელი და ვიდრე ის ზეთს ამოწმებდა, ძია ალბერტმა ტელეფონის აპარატი შენიშნა.

—ლენჩის დროს ხომ არ დავადგებით შემდეგ კლიენტს,—უთხრა მან გარის – დავურეკავ და გავაფრთხილებ, რომ ორ საათზე ჩავალთ.

ამის გაგონებაზე ჩამომსხმელმა ერთი შეუბღვირა ძიას და უთხრა:

– ბედი არ გქონიათ, აგერ უკვე ოთხი საათია , რაც ტელეფონი არ მუშაობს.

– ძალიან ცუდი,– ძია ალბერტმა ჩამომსხმელს სამი გირვანქა გაუწოდა. მან ფული შარვლის ჯიბეში ჩაიდო, ხურდის ამოსაღებად სალაროს უჯრა გამოსწია, მაგრამ იგი ცარიელი აღმოჩნდა. ჩამომსხმელმა სასწრაფოდ შესწია უჯრა,— კარგი, ხურდა დაიტოვეთ,—უთხრა ძია ალბერტმა. ხურდას აღარ დაეძებდა, ოღონდ კი იქაურობას გასცლოდნენ.

გზაზე კაფეში შეიარეს, მაგრამ გარის ლენჩი უგემური ეჩვენა. ბენზინის ჩამომსხმელი გონებიდან არ გამოსდიოდა. რაც უფრო მეტ დეტალს იხსენებდა, მით უფრო საეჭვო ეჩვენებოდა იგი. თავისი ეჭვები ბიჭმა ძიას გაუზიარა, მაგრამ იმან მხოლოდ ჩაიცინა:

—შენ სულ რაღაცები გეჩვენება! მაგრამ თუ ძალიან გინდა, შენს მეგობარს, დეტექტივ ფოქსს დაურეკე. გარი ასეც მოიქცა. მალე კი მან თავის მეგობარი დეტექტივისაგან შეიტყო, რომ მისი დაკვირვებულობის წყალობით ორი ძებნილი ბოროტმოქმედი დააკავებინათ.

ახლა კი გვიპასუხეთ, რა მიზეზებმა დააეჭვა გარი? გაითვალისწინეთ, რომ მიზეზი რვაა.



თუ კომპიუტერთან გაქვს საქმე, აუცილებლად ისარგებლე ნახაზზე ნაჩვენები მარტივი მოწყობილობით: ლითონის რგოლი, კაუჭი და მაგარი ძაფი საიმედოდ დაგიცავს პროგრამების შემთხვევით წაშლისაგან.



თუ ტანსაცმლით რამეს გამოედე და ქსოვილიდან ძაფი ამოიძენძა, ეს მცირე უსიამოვნება შეგიძლია ნემსში ძაფის გასაყრელი ხელსაწყოთი გააქარწყლო. ხელსაწყოს ბოლო ქსოვილში უკუღმა მხრიდან გაატარე, ამოძენძილი ძაფი მავთულის ყულფში გაუყარე, უკანვე გააძვრინე და უკუღმა მხარეს გატანილი ძაფი საიმედოდ გაკვანძე.



ვისაც მისადგმელ კიბესთან ჰქონია საქმე, იმან იცის, რომ მისი მდგომარეობის შენარჩუნება საკმაოდ ძნელია. ამ უხერხულობას რომ თავი დააღწიო, საკმარისია გააკეთო მარტივი ბუნიკი აქ მოტანილი ნახაზის მიხედვით. კიბე არც გაცურდება და არც შემოტრიალდება.



გახდილი ჩექმები სწორედ არ ჩერდება, იატაკზე ჩაიფუშება, არც წესიერად შრება და წინკარის იერსაც აფუჭებს. ყელგამართული ჩექმები სარეცხის სამაგრისებით ერთმანეთზე მიამაგრე და კოხტად მიაწყვე კუთხეში.



ფეხსაცმელს ზონარი რომ არ გამოძვრეს და არ გაგაწვალოს, ფეხსაცმელს ენაში ნახვრეტი გაუკეთე და ზონარი ორივე თავით შიგ გაუყარე.



ჩამოსხმული ლითონჩარჩოიანი ტაბურეტის ბუდეს, რომელშიაც ფეხი იხრახნება, ზოგჯერ ხრახნკუთხვილი უფუჭდება. თუ შენს ტაბურეტსაც ასე დაემართა, აიღე ასეთივე კუთხვილიანი ქანჩი, ტორსი ისე გაუქლიბე, რომ შვერილები დაუტოვო (როგორც ნახაზზეა). ტაბურეტის ჩარჩოს ბუდეს წმინდა ქლიბით ქანჩის შვერილების შესაბამისი ორი განახერხი გაუკეთე და საჯდომი სიბრტყის ქვემო მხარეს შესაფერი ჩაღრმავება შეარჩიე. ამის შემდეგ ქანჩი ჩასვი, ფეხი ჩახრახნე და სკამიც მზად იქნება.



ტაფის ტარი, რომელიც ნახაზზეა გამოსახული, კონსტრუქტორის მიერ დაუგეგმავი ეფექტური თბოგადამცემის როლს ასრულებს: ღრუ მილში წარმოიქმნება მუდმივი წნევა და ტარი სწრაფად და ძლიერ ხურდება. თუ ტარის მილს უშუალოდ ტაფის სიახლოვეს ალუმინის ფოლგით გამოტენი, ტარი გაცილებით უფრო გვიან და ნაკლებად გახურდება.



ფარდის გადაწევ-გადმოწევისას ფარდის რგოლები ხშირად სხლტება ხოლმე კაუჭს. ამ უსიამოვნებას ადვილად აირიდებ, თუ კაუჭს წვერზე პოლიქლორვინილის მილის ნაჭერს ჩამოაცვამ.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# იწილო–მიწილო

## კროსვორდი



**შვეულად:** 1. საგრილებელი; 2. ხილი; 3. მდინარე რუსეთში; 5. პოლონელი ასტრონომი; 7. სახელმწიფო აზიაში; 8. მხედრის დასაჯდომი მოწყობილობა; 9. უმაღლესი ხელისუფლების დადგენილება; 10. ქართული ეპოსის გმირი; 12. თვე; 13. ხილი; 21. ქალაქი პოლონეთში; 22. ღვინის დასაყენებელი და შესანახი ადგილი; 25. პლანეტა.

**თარაზულად:** 2. დიდი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე; 4. XII საუკუნის ქართველი პოეტი; 5. ტბა საქართველოში; 6. თევზის საჭერი მოწყობილობა; 11. შავი ზღვისპირა ქალაქი; 12. ქსოვილი ანუ... 14. სამოთხის ბაღი, წალკოტი; 15. დასასვენებელი ადგილი ქალაქგარეთ; 16. ტბა ჩრდილო ამერიკაში; 17. ციხესიმაგრე არაგვის ხეობაში; 18. შეიარაღებულ ძალთა ერთობლიობა; 19. ერთი და იგივე ქიმიური ელემენტის ატომები, რომელთაც სხვადასხვა ატომური წონა აქვთ, მაგრამ ქიმიური და ფიზიკური თვისებებით არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან; 20. გაზი, რომელიც წარმოიშვება ძლიერი ჭექა-ქუხილის დროს; 23. მგალობელი ფრინველი; 24. ნ. ლომოურის მოთხრობა; 26. სამშობლოს სიშორით გამოწვეული სევდა; 27. ლექსი, რომლის სტრიქონთა თავკიდური ასოებისაგან გამოდის სიტყვა ან წინადადება.



**იპოვნეთ განსხვავებები ამ ორ ნახატს შორის**





[illegible]

[illegible]

[illegible]

ნიკომ და ქეთინომ ძველი ციხის ნანგრევებში ქართული ასომთავრულით შედგენილი წერილი იპოვნეს. ქეთინომ მხოლოდ ექვსი ასო იცნო, ნიკომ – ვერცერთი. დაეხმარე ბავშვებს ამ წერილის წაკითხვაში.

ნანა იოსელიანი

1- 40 263/5

ეროვნული ბიბლიოთეკა

# 2002 წელი

## იანვარი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ორშ. | | 7 | 14 | 21 | 28 |
| სამ. | 1 | 8 | 15 | 22 | 29 |
| ოთხ. | 2 | 9 | 16 | 23 | 30 |
| ხუთ. | 3 | 10 | 17 | 24 | 31 |
| პარ. | 4 | 11 | 18 | 25 | |
| შაბ. | 5 | 12 | 19 | 26 | |
| კვ. | 6 | 13 | 20 | 27 | |

## თებერვალი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ორშ. | | 4 | 11 | 18 | 25 |
| სამ. | | 5 | 12 | 19 | 26 |
| ოთხ. | | 6 | 13 | 20 | 27 |
| ხუთ. | | 7 | 14 | 21 | 28 |
| პარ. | 1 | 8 | 15 | 22 | |
| შაბ. | 2 | 9 | 16 | 23 | |
| კვ. | 3 | 10 | 17 | 24 | |

## მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ორშ. | | 4 | 11 | 18 | 25 |
| სამ. | | 5 | 12 | 19 | 26 |
| ოთხ. | | 6 | 13 | 20 | 27 |
| ხუთ. | | 7 | 14 | 21 | 28 |
| პარ. | 1 | 8 | 15 | 22 | 29 |
| შაბ. | 2 | 9 | 16 | 23 | 30 |
| კვ. | 3 | 10 | 17 | 24 | 31 |

## აპრილი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ორშ. | 1 | 8 | 15 | 22 | 29 |
| სამ. | 2 | 9 | 16 | 23 | 30 |
| ოთხ. | 3 | 10 | 17 | 24 | |
| ხუთ. | 4 | 11 | 18 | 25 | |
| პარ. | 5 | 12 | 19 | 26 | |
| შაბ. | 6 | 13 | 20 | 27 | |
| კვ. | 7 | 14 | 21 | 28 | |

## მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 6 | 13 | 20 | 27 |
| | | 7 | 14 | 21 | 28 |
| | 1 | 8 | 15 | 22 | 29 |
| | 2 | 9 | 16 | 23 | 30 |
| | 3 | 10 | 17 | 24 | 31 |
| | 4 | 11 | 18 | 25 | |
| | 5 | 12 | 19 | 26 | |

## ივნისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 3 | 10 | 17 | 24 |
| | | 4 | 11 | 18 | 25 |
| | | 5 | 12 | 19 | 26 |
| | | 6 | 13 | 20 | 27 |
| | | 7 | 14 | 21 | 28 |
| | 1 | 8 | 15 | 22 | 29 |
| | 2 | 9 | 16 | 23 | 30 |

## ივლისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | 1 | 8 | 15 | 22 | 29 |
| | 2 | 9 | 16 | 23 | 30 |
| | 3 | 10 | 17 | 24 | 31 |
| | 4 | 11 | 18 | 25 | |
| | 5 | 12 | 19 | 26 | |
| | 6 | 13 | 20 | 27 | |
| | 7 | 14 | 21 | 28 | |

## აგვისტო

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 5 | 12 | 19 | 26 |
| | | 6 | 13 | 20 | 27 |
| | | 7 | 14 | 21 | 28 |
| | 1 | 8 | 15 | 22 | 29 |
| | 2 | 9 | 16 | 23 | 30 |
| | 3 | 10 | 17 | 24 | 31 |
| | 4 | 11 | 18 | 25 | |

## სექტემბერი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | 2 | 9 | 16 | 23 | 30 |
| | | 3 | 10 | 17 | 24 | |
| | | 4 | 11 | 18 | 25 | |
| | | 5 | 12 | 19 | 26 | |
| | | 6 | 13 | 20 | 27 | |
| | | 7 | 14 | 21 | 28 | |
| | 1 | 8 | 15 | 22 | 29 | |

## ოქტომბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 7 | 14 | 21 | 28 |
| | 1 | 8 | 15 | 22 | 29 |
| | 2 | 9 | 16 | 23 | 30 |
| | 3 | 10 | 17 | 24 | 31 |
| | 4 | 11 | 18 | 25 | |
| | 5 | 12 | 19 | 26 | |
| | 6 | 13 | 20 | 27 | |

## ნოემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 4 | 11 | 18 | 25 |
| | | 5 | 12 | 19 | 26 |
| | | 6 | 13 | 20 | 27 |
| | | 7 | 14 | 21 | 28 |
| | 1 | 8 | 15 | 22 | 29 |
| | 2 | 9 | 16 | 23 | 30 |
| | 3 | 10 | 17 | 24 | |

## დეკემბერი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | 2 | 9 | 16 | 23 | 30 |
| | | 3 | 10 | 17 | 24 | 31 |
| | | 4 | 11 | 18 | 25 | |
| | | 5 | 12 | 19 | 26 | |
| | | 6 | 13 | 20 | 27 | |
| | | 7 | 14 | 21 | 28 | |
| | 1 | 8 | 15 | 22 | 29 | |

**ნაკადული**